ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 2 აგვისტო, 2018 | №181 (7726) | ფასი: 60 თეთრი

გია ხუხაშვილი: „ნაციონალების გაპიარებას ხელს „ქართული ოცნება“ უწყობს“

გვ.3

რა კავშირი აქვს ივანიშვილს მარიხუანას ლეგალიზაციასთან

გიგლა ბარამიძე: „ამერიკაში უკვე მოძებნეს რამდენიმე ფირმა, რომლებიც საქართველოში ნარკოტიკებს შემოიტანენ“

გვ.2

„ხელისუფლებამ ჩვენი შვილების მოწამვლა დააკანონა“

ლადო სადღობელაშვილი: „ლევან ვასაძე პოლიტიკაში მოდის“

გვ.4

პრემიერ-მინისტრმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული სპეცრაზმელი ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენზე წარადგინა

გვ.3

სამართალი

ლუკა კალანდია: „ვიცი, რა მოხდა, მაგრამ ჩემი ძმისგან თუ სხვა წყაროსგან, ამას ვერ ვიტყვი“

გვ.7

ამირან გიგუაშვილი: „საკონსტიტუციო სასამართლომ თქვა, რომ თუ საჭირო გახდება, ისევ თვითონ აკრძალავს მარიხუანას მოხმარებას“

უზენაესმა სასამართლომ დეკანოზ მამალაძის საქმე წარმოებაში არ მიიღო

ეკონომიკა

გვ.6

„ზოგიერთ ფარმაცევტულ კომპანიას 1000%-იანი მოგების მარჟა აქვს“

ბათუმის აეროპორტში აბრის მიხედვით ტურისტები საქართველოს ნაცვლად თურქეთში ჩამოდიან

თედო ისაკაძე: „ტაქსებთან დაკავშირებით მგზავრებს პრეტენზიები სულ ჰქონდათ, მაგრამ არ იცოდნენ, ვისთვის მიემართათ“

ISSN 1987-9385

5 აგვისტოს მეორე ნახევარში საქართველოს ანგელა მერკელი ეწვევა

8 ვინ დახოცა რუსი ჟურნალისტები?

7 გაუპატიურების მცდელობა თუ ხუმრობა გორში? — 16 წლის გოგოს მშობლებმა სარჩელი გამოიტანეს

8 ტრამპის მორიგი ორიგინალური განცხადება: „რუსეთთან საიდუმლო გარიგებები დანაშაული არ არის“

რა კავშირი აქვს ივანიშვილს მარიხუანას ლეგალიზაციასთან

შორენა მარსაგიშვილი

ვის ინტერესებშია მარიხუანას ლეგალიზება, ვინ შემოიტანს საქართველოში ლეგალურად ქცეულ ნარკოტიკს, რა კავშირი აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან ივანიშვილს, რა პასუხი უნდა გასცეს ამ გადაწყვეტილებას ხალხმა? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ყოფილი პოლიტდევნილი გიგლა ბარამიძე ესაუბრება.

გიგლა ბარამიძე:

– მარიხუანას ლეგალიზებით საკონსტიტუციო სასამართლომ ქართული გენის განადგურებას დაუჭირა მხარი. სათანადო მხარდაჭერის გარეშე, მოსამართლეები ამ გადაწყვეტილების მიღებას ვერ გაბედავდნენ.

ჩვენ კარგად გვახსოვს „ქართულმა ბოცნებამ“ როგორ მოიკლა თავი იმისთვის, რომ ეს ადამიანები საკონსტიტუციო სასამართლოში ყოფილიყვნენ წარმოდგენილი. ახლა ირკვევა თუ რატომ იყვნენ ასეთი მოწადინებულები – ამ მოსამართლეებს სამშობლოს ღალატის ტოლფასი გადაწყვეტილებები უნდა მიეღოთ და ყველაფერზე მოეწერათ ხელი.

საქართველო არის ქვეყანა, რომელსაც დაკარგული ტერიტორიები დასაბრუნებელი აქვს. საქართველო არის ქვეყანა, რომელიც ვერ აკონტროლებს სახელმწიფო საზღვარს და ჰყავს 350.000-ზე მეტი დევნილი. საქართველო არის ქვეყანა, საიდანაც 1.5 მილიონი ადამიანი გაიქცა ლუკმაპურის საშოვნელად, აქ დარჩენილთა უმეტესობა შიმშილის ზღვარზეა.

ოფიციალურად გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, საქართველო დემოგრაფიული კატასტროფის წინაშეა და ამ დროს ხდება ნარკოტიკების ლეგალიზება. ეს სხვა არაფერია თუ არა სამშობლოს ღალატი.

ვერანაირი ეკლესიების მშენებლობა თუ მათი გათეთრება, ვერ ჩამორეცხავს ბიძინა ივანიშვილს იმ სიბინძურეს, რაც მისი „ბოცნების“ ხელით დაკანონდა. ბიზნესინტერესებისათვის ქართული გენის დაწრეტა და განადგურება არ შეიძლება.

მარიხუანას ლეგალიზებას მალე გაცილებით მძიმე ნარკოტიკების დაკანონება მოჰყვება. მერე დაკანონდება ერთნაირსქესიანთა ქორწინება.

– ამდენსაც გაბედავენ?

– ესენი ყველაფრის მკადრებლები არიან და ამასაც იკადრებენ. კადრებამდე სანამ მივა საქმე, ფონს მოამზადებენ. მარიხუანას ლეგალიზებასაც ასეთი სამუშაოები უძღოდა წინ.

ბოლო პერიოდში ძალიან საეჭვოდ აქტიურობდა „თეთრი ხმაური“. ისინი მარიხუანას ლეგალიზებას ითხოვდნენ. მაშინვე გაჩნდა ეჭვი იმის შესახებ, რომ ამის უკან ბერა და ბიძინა ივანიშვილები იდგნენ. მაგრამ მაშინ ხალხს არ სჯეროდა.

ლეგალიზებისთვის ფონის შექმნას ემსახურებოდა რამდენიმე თვის წინ დაწყებული კამპანია „არა ჩადებას“. ადამიანებს ნარკოტიკი რომ არ უნდა ჩაუდო, ამას ჩვენც ვემხრობით, მაგრამ ამ კამპანიის დასაწისშივე ვამბობდი, რომ ეს არის საფარი, მას ამოეფარებიან და ასე მივლენ ნარკოტიკების ლეგალიზებამდე.

ვამბობდი, რომ გარკვეულ ძალებს საქართველოში შავი ბიზნესის და მაფიის უმტკივნეულოდ დაკანონება სურდათ. ისე აგიხდათ ყველაფერი კარგი, როგორც ეს ახდა – დაიწყეს „არა ჩადებით“ და დაამთავრეს ლეგალიზებით.

ეს ისეთივე სპეცოპერაცია იყო, როგორიც ხელისუფლებამ საპატრიარქოს წინააღმდეგ ჩაატარა. იმ სპეცოპერაციას სახელად ციანიდი ერქვა. ციანიდის სპეცოპერაციამდე მოსახლეობას ანტიდისკრიმინაციული კანონი შემოაპარა „ბოცნებამ“..

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, „ქართულ ბოცნებას“ თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ ქვეყნის ამომგდები პოლიტიკური ძალა.

მარიხუანა ლეგალიზებულია და ახლა იწყება ამ სპეცოპერაციის მეორე და მთავარი ეტაპი. მომხმარებელი, ბუნებრივია, მიადგება სახელმწიფოს და მოსთხოვს, რომ ლეგალურად შეიძინოს ნარკოტიკები. საქართველოში ძალიან მალე გაჩნდება მაღაზიები, სადაც ნარკოტიკები გაიყიდება.

„ხელისუფლებამ ჩვენი შვილების მოწამვლა დააკანონა“

სასწრაფოდ გაჩნდებიან პირები, რომლებიც შემოიტანენ ნარკოტიკებს. ისინი ამ ბიზნესის მონოპოლისტები გახდებიან. ამ ბიზნესით ძალიან დიდი ფულის შოვნა შეიძლება.

– საიდან უნდა მოხდეს ნარკოტიკების შემოტანა? ასეთი იოლია მომწოდებლის მოძებნა?

– ჩემ ხელთ არსებული ინფორმაციით, უკვე მოძებნილი ჰყავთ რამდენიმე ფირმა ამერიკაში და მათ უნდა შემოიტანონ ნარკოტიკები. მერე გვეტყვიან, რა გინდათ, ბიუჯეტი ხომ იზრდებაო.

ეს ყველაფერი ემსახურება საქართველოს ამოგდებას! ადამიანებს, რომლებსაც მევახშის ფსიქიკა აქვთ, ფულის გარდა სხვა არაფერი არ აინტერესებთ. ამიტომ გამოვიყენებ ძველ ფრაზას – კართაგენი უნდა დაინგრეს. დღევანდელი ხელისუფლება თავისი საკონსტიტუციო სასამართლოთი მართლა უნდა დაინგრეს. ეს ყველაფერი კონსტიტუციის ფარგლებში უნდა მოხდეს.

ივანიშვილს და მისი მლიქვნელების ხროვას ხელისუფლებაში ყოფნის არანაირი მორალური უფლება აღარ აქვთ. ფილისტერულ საზოგადოებას, რომელსაც ჰგონია, რომ მარიხუანას ლეგალიზება კარგია, ისინი ავადმყოფები არიან.

გიგლა ბარამიძე: „ამერიკაში უკვე მოძებნეს რამდენიმე ფირმა, რომლებიც საქართველოში ნარკოტიკებს შემოიტანენ“

– „გირჩის“ ლიდერი ზურაბ ჯაფარიძე ამბობს, რომ მარიხუანა გონებას ხსნის. ამტკიცებს, იმ პერიოდში, როცა ვეწეოდი, 3 დიპლომი ავიღეო.

– დიპლომები არ ვიცი, მაგრამ მარიხუანას რომ ეწევა, ეს ჯაფარიძეს სახეზე აწერია. ახლა ათას ვინმეს ალაპარაკებენ ამ გადაწყვეტილების გასამართლებლად. ასე თუ წავიდა, დახვრეტების გამართლებაც შეიძლება. ძალიან მალე იმასაც გვეტყვიან, რომ კოკაინი და ჰეროინი ორგანიზმისთვის აუცილებელია.

ბუნებრივია, იბადება კითხვა, საით მივდივართ ჩვენ? სულ გვასწავლიდნენ იმას, რომ კაცობრიობა გამუდმებით ვითარდებოდა, რათა ადამიანს ცივილიზებული სახე მიეღო. ჯერ ერთი, ვინ თქვა, რომ აბსოლუტური თავისუფლება – ჩემი სხეულია და რასაც მინდა იმას ვუზამ – არის დემოკრატია. ეს დემოკრატია კი არა სიველურეა.

ასეთი აბსოლუტური თავისუფლება ადამიანს გიბიძგებს, რომ პირველყოფილი თემური წყობილების ნორმებით იცხოვრო. ასეთ ხალხსაც ვიცნობთ, დეგრადირებულები, გაბურძგნულები და დაბინძურებულები სადღაც ცხოვრობენ. თუ ეს არის თავისუფლება, მაშინ რისთვის არსებობს სახელმწიფო და სახელმწიფოებრივი ინტერესები?!

აბსოლუტური თავისუფლება, ეს არის კლასიკური ტიპის ლიბერტალიანური მიმართულება. ის სახელმწიფო ინსტიტუტების წინააღმდეგია და სიველურეს უჭერს მხარს.

ასეთი სიველურე მილიარდერებს აწყობს – ასე უფრო იოლია ხალხის მართვა თან ძალიან ბევრ ფულს იშოვი. ავიღოთ ივანიშვილი, ის ხელისუფლებაში მოვიდა სამართლიანობის აღდგენის პირობით. თავის ბანკს დაუბრუნა წართმეული მილიონები. საზოგადოება და ქვეყანა უკან-უკან წაიყვანა.

– საზოგადოება ახსენეთ და ხალხის რეაქცია როგორი იქნება? რას იზამს საპატრიარქო? ამ გადაწყვეტილების გამო მათ უკვე მოითხოვეს საკონსტიტუციო სასამართლოს გაუქმება.

– ამ მომენტისთვის, როცა ჩვენ ინტერვიუს ვწერთ, საპატრიარქოს ოფიციალური განცხადება გაკეთებული არა აქვს. ის განცხადება, რაც გაკეთდა, საპატრიარქოს ოფიციალური პოზიცია არ არის. ეს მხოლოდ ერთი კონკრეტული პირის პოზიციაა.

საპატრიარქომ წესით ძალიან მკაცრი განცხადება უნდა გააკეთოს, განგაშის ზარები უნდა შემოკრას და ხელისუფლებას გონზე მოსვლა მოსთხოვოს. რასაკვირველია, თუ ამის ნება კიდევ აქვს დარჩენილი.



საზოგადოებას რაც შეეხება, აქ ძალიან მძიმედ არის საქმე. საკონსტიტუციოს გადაწყვეტილების გამო, უკვე ასეულობთ ათასი ადამიანი უნდა იყოს ქუჩაში გამოსული.

ხალხი არაფერზე აღარ რეაგირებს. ივანიშვილმა ესეც ძალიან კარგად იცის.

ასეთი განწყობა დროებითია, უკმაყოფილება დაგროვდა და დუღილის პროცესი დაიწყება. ერთ დღესაც ეს უკმაყოფილება იხუვლებს და ივანიშვილს ვერავინ ვეღარ უშველის. ყველა რისხვა მას დაატყდება თავს.

ხელისუფლებამ ჩვენი შვილების და შვილიშვილების კულტურულად მოწამვლის პროცესი დააკანონა. ისინი ამაზე პასუხს აუცილებლად მიიღებენ.

– ივანიშვილს რატომ დაატყდება მთელი რისხვა თავს? გადაწყვეტილება ხომ სხვებმა მიიღეს?

– მთელი 9 წელი დევნილობაში ვიყავი და საქართველოში ხელისუფლებაში ივანიშვილის მოსვლის შემდეგ დავბრუნდი. აქედან გამომდინარე ამ ადამიანის მიმართ მქონდა მადლიერების გრძნობა. მარიხუანას ლეგალიზების შემდეგ მის მიმართ ყველა ილუზია გამიქრა.

რამდენიმე თვის წინ, მისი შვილი ბერა, გაუგებარი ჰანგებით მოუწოდებდა ყველას ნარკოტიკების ლეგალიზებისკენ. ეს იმის მანიშნებელი იყო, რომ სახედაკარგული მოსამართლეები, ბიძინას დავალებით, ამ გადაწყვეტილებას მიიღებდნენ.

ეს არის ხალხი, რომელიც საზოგადოებამ უნდა გარიყოს და კანონით დასაჯოს. მერე იძახოს ბიძინამ, მე თუ წავალ, მიშა მოვაო.

– ეს ფორმულა ჯერ ისევ კარგად მუშაობს.

– აქამდე კარგად მუშაობდა, მაგრამ ახლა აღარ იმუშავებს. ყველამ დაინახა, როგორ თანამშრომლობს ივანიშვილი წინა ხელისუფლებასთან. ამიტომაც ვეძახი „ოცნებას“ „ბოცნებას“.

ივანიშვილი თუ წავა, მიშა არ მოვა, საქართველოში არსებობს წესიერი ოპოზიცია. ხელისუფლებაში მოვლენ ისინი და ივანიშვილისგან განსხვავებით, დამნაშავეებს კანონის ძალით გაასამართლებენ.

ჩვენი შვილების განადგურების გადაწყვეტილებას, საზოგადოება ასე არ დატოვებს. ყველა კარგად ხვდება, რომ ხვალ უკვე მძიმე ნარკოტიკებს დააკანონებენ. მე ისიც არ მესმის, რატომ ითვლება პლანი მსუბუქ ნარკოტიკად.

იმ პრინციპით, რითაც ევაია გოცირიძემ პლანი დააკანონა, მავანი კოკაინის და ჰეროინის ლეგალიზებასაც მოითხოვს. მერე მეკურტუმეებიც მოითხოვენ მეკურტუმეობის დაკანონებას და დაიქცევა ეს ქვეყანა.

როგორც იტყვიან, მეფე შიშველია, ხალხი საბოლოოდ დარწმუნდა, ვინ არის მეფე და მთელი რისხვა მას დაატყდება – ჩვენი შვილების მოწამვლის დაკანონებას საზოგადოება ასე არ გაატარებს.

„სალომე ზურაბიშვილის რეპრესიებს შეეწირა საუკეთესო ქართველი დიპლომატი“

ექსპერტი თორნიკე შარაშენიძე სალომე ზურაბიშვილის საგარეო საქმეთა მინისტრობის პერიოდს იხსენებს და ფეისბუქის გვერდზე პოსტს ავრცელებს:

– მე უნდა ვაღიარო, რომ სალომე ზურაბიშვილმა თითქმის შეძლო შეუძლებელი – ლამის დაანგრია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

საგარეო 2003 და 2012 წლებშიც კი გადაურჩა წმენდასა და რეპრესიებს. მაგრამ სალომემ...

მის რეპრესიებს შეეწირა ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი დიპლომატი გიგა ბურდული. ბოლოს ბატონ გიგას სულ ერთი სამსახური ჰქონდა – ჯიპაში, ჩემთან კითხულობდა ლექციებს. მაგრამ ცხადია, აქტიურ დიპლომატიაში დაბრუნებაზე ოცნებობდა, რაც არ ეღირსა – ჯავრისგან გული გაუსკდა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გია ხუხაშვილი: „ნაციონალების გაპიარებას ხელს „ქართული ოცნება“ უწყობს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ენდიაის“ სოციოლოგიური კვლევის შედეგებზე საუბრობს.

– ბატონო გია, „ენდიაის“ კვლევებმა რა სურათი დადო?

– დადო ის სურათი, რაც გვაქვს. კონკრეტულ პროცენტებზე არ ვისაუბრებ, შეიძლება საკამათო იყოს, მაგრამ ის ტენდენციები, რაც საქართველოს პოლიტიკურ მოზაიკაში ვითარდება, სრულად ასახა ამ კვლევამ. მთავარი, რაც გამოავლინა – მოსახლეობა არის აპათეაში და პოლიტიკური ელიტა – ღრმა პოლიტიკურ კრიზისში. ვერ ხდება რეალური პოლიტიკური ლიდერების გენერირება, რომლებიც საზოგადოებისგან ლეგიტიმაციას მოიპოვებდნენ.

– 75% ამომრჩევლის ნიჰილისტურად არის განწყობილი, წინა გამოკითხვებში 60%-ამდე მერყეობდა ეს მაჩვენებელი. საკმაოდ არის გაზრდილი. როგორ ფიქრობთ, რა არის მიზეზი?

– ეს არის პროცესი, რომელიც პირდაპირ აჩვენებს, რომ მოთხოვნილება არის არაკომპრომეტირებულ, არადისკრედიტირებულ პოლიტიკურ ძალებზე, პოლიტიკურ ლიდერებზე, რომელსაც ამომრჩეველს პოლიტიკური ელიტა ვერ სთავაზობს. შესაბამისად აპათეის ვირუსი სულ უფრო და უფრო იზრდება. ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაიზრდება, თუ ახალი ლიდერების გენერირება არ მოხდა.

– შეიძლება ასეთი ზრდა ამ მაჩვენებლის მმართველი პარტიის შიგნით მიმდინარე პროცესებითაც და ბიძინა ივანიშვილის განწყობებითაც არის განპირობებული?

– ეს ყველაფერი ერთმანეთზეა მიბმული. ეს გამოტყორცნილი პრობლემები სულ უფრო და უფრო აშკარა ხდება, საჯაროვდება და ეს, ცხადია, გავლენას ახდენს. პოლიტიკა როდესაც ასეთ მდგომარეობაშია, ეს სკეპტიციზმი სრულიად ბუნებრივი და კანონზომიერია. ეს არის კრიზისი გამოვლინება. ამ ყველაფერზე საზოგადოებაც შესაბამისად რეაგირებს.

– გასაგებია კანონზომიერია, მაგრამ როდემდე შეიძლება გაგრძელდეს?

– სანამ ახალი პოლიტიკური ცენტრები არ გამოჩნდება სუფთა ფურცლიდან, რომელიც ამომრჩეველს ახალ ენერგიას შესძენს. როგორც ეკონომიკას, პოლიტიკასაც ახასიათებს ბაზრის პრინციპი: თუ არსებობს მოთხოვნა, მიწოდებაც ჩნდება.

ეს ვითარება უსასრულო ვერ იქნება, რადგან არსებობს კრიტიკული წერტილი, რის შემდეგაც ქაოსი იწყება. ჩვენი საზოგადოება, იმედი მაქვს, საკმაოდ ორგანიზებულია და ქაოსს არ დაუშვებს. ქაოსის ერთადერთი პრევენცია არის ახალი პოლიტიკური ცენტრების გაჩენა ან არსებული ძალების რეინკარნაცია, რაც თეორიულად შესაძლებელია, მაგრამ პრაქტიკულად ძალიან რთული ამოცანაა.

– ამ კვლევებით, თუ მეორე ტური იქნება, მეორე ტურში გადის პრეზიდენტი მარგველაშვილი და „ქართული ოცნების“ კანდიდატს ის ხმებს წაართმევს. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტი მარგველაშვილი არ აპირებს ერთი და იგივე მდინარეში მეორედ შესვლას. რა კომენტარს გააკეთებთ?

– კვლევის ამ ნაწილს არ ვეთანხმები და გეტყვით რატომაც, ამის საფუძველს თავად ენდიაის კვლევა იძლევა. გიორგი მარგველაშვილი ამ რეიტინგებში მეორე ადგილზე არ არის და, შესაბამისად, ცოტა უცნაურია, როგორ ხვდება ის მეორე ტურში?!

ეს არჩევნები იქნება რესურსების არჩევნები. რესურსების მხრივ გიორგი მარგველაშვილი სახარბიელოდ არ გამოიყურება. პრაქტიკულად მას ამისთვის არც უზრუნია. ამიტომ ვფიქრობ, მარგველაშვილის მეორე ტურში გასვლა მოგონილი თემაა. თუმცა, თუ მარგველაშვილი არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას, ეს მეორე ტურის ალბათობას ზრდის, ისევე, როგორც ამ კონტექსტში მოიაზრება ალეკო ელისაშვილი, რომელსაც არ ჰყავს პარტიული ამომრჩეველი, მაგრამ მას ჰყავს არასტანდარტული ამომრჩეველი. ალეკო ელისაშვილის არჩევნებში მონაწილეობა მეორე ტურის ალბათობას ზრდის.

– მით უფრო დამოუკიდებელი კანდიდატის კონტექსტში?

– რასაკვირველია. თუმცა, მიუხედავად ამ ყველაფრისა, თუ მეორე ტური იქნება გარდაუვალი, ამ შემთხვევაში ეს იქნება არც ელისაშვილს, არც მარგველაშვილს, არამედ „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას შორის.

– პარტიული რესურსისა და სტაბილური ელექტორატის ხარჯზე?

– რასაკვირველია.

– ნაციონალური მოძრაობა მუდმივად მეორე პოზიციაზე რომ არის, ამას რითი ხსნით?

– ეს არის შულერული თამაში, რაც იმდენად ნაციონალური მოძრაობის დამსახურება არ არის, რამდენადაც „ქართული ოცნების“. რატომ? იმიტომ, რომ „ოცნების“ ინტერესშია და ამისთვის ყველაფერს აკეთებს, რათა მის ფონზე უკეთესად გამოიყურებოდეს. პოლიტტექნოლოგიურად ადვილი დასანახია: „ოცნება“ მუდმივად ქმნის ნაციონალური მოძრაობისგან მტრის ხატს. ცდილობს, რომ საინფორმაციო ველიდან ყველა სხვა მოთამაშე გაიყვანოს და ამ დაპირისპირებაზე ააგოს თავისი პოლიტიკა. ეს არის ბრძოლა „კეთილსა და ბოროტს“ შორის. ამ შულერულ თამაშში „ოცნება“ ცდილობს ამომრჩეველი ჩაითრიოს. ეს არის თამაში, რომელიც ნაციონალურ მოძრაობასაც აწყობს. ისინი ხვდებიან, რომ ხელისუფლებაში ვერ დაბრუნდებიან, მაგრამ მთავარი ოპოზიციური ძალის შენარჩუნება მათ ინტერესებშია. ორივე მხარე ცდილობს, ამ სივრცეში სხვა არავინ შემოუშვას. მოდი ასე ვთქვათ: ორივე მხარე შოკოლადშია. თუმცა, რაც უფრო დრო გადის, მით უფრო ჭირს ამ თამაშის გაგრძელება, მაგრამ ეს ორპოლუსიანობა შენარჩუნდება მანამ, სანამ ახალი პოლიტიკური ცენტრები არ გაჩნდება. არ ვგულისხმობ არსებულ პოლიტიკური ცენტრებიდან ახალ წარმონაქმნებს, რაც ყველას მობეზრდა.

– ფაქტიურად უკვე დადასტურებულია, რომ სწორედ სალომე ზურაბიშვილი იქნება ის დამოუკიდებელი კანდიდატი, მაგრამ საინტერესოა, ამომრჩეველი მის იდენტიფიცირებას „ქართულ ოცნებასთან“ მოახდენს თუ ის, როგორც დამოუკიდებელი კანდიდატი, ისე იქნება აღქმული?

– ჩვენ არ ვცხოვრობთ ფორმალისტურ საზოგადოებაში. ფორმალური კატეგორიებით არ მსჯელობს ეს საზოგადოება. ამომრჩეველს კარგად ახსოვს სალომე ზურაბიშვილი, რომელიც არ არის და არ იყო „ქართული ოცნების“ წევრი ფორმალურად, მაგრამ როგორი აქტიური მხარდამჭერი იყო ის ამ პარტიის. შესაბამისად მის დამოუკიდებლობაზე საუბარი, რბილად რომ ვთქვათ, არადამაჯერებელია. სალომე ზურაბიშვილი იქნება სახელისუფლო კანდიდატი. აქაც არის ნიუანსები გასათვალისწინებელი თუ რა სახის იქნება ეს მხარდაჭერა.

– რესურსებს გულისხმობთ.

– ცხადია. ეს იქნება დეკლარირების დონეზე მხარდაჭერა თუ ადმინისტრაციული რესურსით. მიუხედავად ყველაფრისა, სალომე ზურაბიშვილი ამ დამღას მაინც ვერ ჩამოიხსნის, ის იქნება აღქმული, როგორც სახელისუფლო კანდიდატი, რაც მისთვის პლუსია განა იმიტომ, რომ „ქართული ოცნება“ ავტორიტეტულია – არა, ალტერნატივა არ არსებობს.

– და რა ჩანს ამ კვლევებით, რომ პირველივე ტურში გამოვლინდება გამარჯვებული?

– თუ მარგველაშვილი უარს იტყვის არჩევნებზე და ელისაშვილს არ ექნება წარმატებული კამპანია. თუ ორივე მათგანი მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას, მეორე ტური გარდაუვალი იქნება. თუმცა, მეორე ადგილზე მაინც ნაციონალური მოძრაობა გავა. ეს პარადოქსია, მაგრამ ასეა. ელისაშვილისა და მარგველაშვილის ამომრჩეველი ხელისუფლებაზე განაწყენებული ამომრჩეველია. ეს ორი კანდიდატი წაართმევს ხმას ხელისუფლების კანდიდატს. რაც შეეხება ნაციონალურ მოძრაობას, მას თავისი ერთგული ამომრჩეველი გარანტირებული ჰყავს. ეს მოხდება მყარი ელექტორატის საფუძველზე.

პრემიერ-მინისტრმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული სპეცრაზმელი ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენზე წარადგინა

პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომელი ივანე გოლაშვილი პრეზიდენტს ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენზე წარუდგინა.

პრემიერ-მინისტრი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსთან, ვახტანგ გომელაურთან ერთად, ივანე გოლაშვილის ოჯახის წევრებს მთავრობის ადმინისტრაციაში შეხვდა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა ივანე გოლაშვილი პროფესიული მოვალეობის შესრულებისას გამოჩენილი განსაკუთრებული მამაცობისა და თავდადებისთვის, გარდაცვალების შემდეგ სამსახურის მედლით, „მამაცობისთვის“ დააჯილდოვა.

ვახტანგ გომელაურმა მედალი ივანე გოლაშვილის მეუღლეს, თამუნა ხელაიას გადასცა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომელი ივანე გოლაშვილი 2017 წლის 21-22 ნოემბერს, თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე, ახმედ ჩატაევის და მისი დაჯგუფების წინააღმდეგ ჩატარებული კონტრტერორისტული სპეცოპერაციის დროს დაიღუპა.

1 აგვისტოს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დაარსებიდან 3 წელი შესრულდა. სამსახური 2015 წლის 1 აგვისტოს, რეფორმის შედეგად შეიქმნა.

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები დღეს გამოქვეყნდება

– ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები, სავარაუდოდ, დღეს გამოქვეყნდება, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში განუცხადეს.

მათივე ინფორმაციით, გამოცდების შედეგების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით კონკრეტული ინფორმაცია დილიდან ცენტრის „ფეისბუქის“ გვერდზე განთავსდება.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, პირველ რიგში ზოგადი უნარების გამოცდის შედეგები გამოქვეყნდება და შემდეგ, ეტაპობრივად გახდება ცნობილი სხვა საგნების შედეგებიც.

სინოპტიკოსების პროგნოზით, ამინდი გაუარესდება

საქართველოში ამინდის გაუარესებაა მოსალოდნელი. გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 5 აგვისტოს ჩათვლით საქართველოში შავი ზღვის ჩრდილო – დასავლეთიდან მოსალოდნელია შედარებით გრილი და ნოტიო ჰაერის მასების გავრცელება, დროგამოშვებით წვიმა ელჭექით, შესაძლებელია სეტყვა და ქარის გაძლიერება, ზღვაზე 3 – 4 ბალიანი ღელვა.

მოსალოდნელმა ძლიერმა ნალექმა შესაძლებელია საქართველოს მდინარეებზე წყლის დონის მატება, ხოლო ქვეყნის მთიან ზონებში მეწყერულ–ღვარცოფული პროცესების ჩასახვა–გააქტიურება გამოიწვიოს.

ირაკლი კობახიძე: „ქართულ ოცნებას“ სალომე ზურაბიშვილთან მიმართებით გადაწყვეტილება არ მიუღია“

პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ „ქართულ ოცნებას“ სალომე ზურაბიშვილთან მიმართებით გადაწყვეტილება არ მიუღია.

მისი თქმით, საპრეზიდენტო კანდიდატებთან დაკავშირებით მსჯელობა გაგრძელდება.

– „ქართულ ოცნებას“ გადაწყვეტილება სალომე ზურაბიშვილთან მიმართებით არ მიუღია, არის საუბრები ჭორის დონეზე, საპრეზიდენტო კანდიდატებთან დაკავშირებით. ჩვენი გადაწყვეტილება მისაღებია, ამაზე გვჭირდება მსჯელობა, ეს მსჯელობა შედგება როგორც პოლიტსაბჭოს, ისე უმრავლესობის ფორმატში და ამის საფუძველზე მივიღებთ გადაწყვეტილებას. საუბარი არ არის იმაზე, რომ ჩვენ გადავწყვიტეთ და არ ვამბობთ, ჩვენ ჯერ უნდა დავსხდეთ, მივიღოთ გადაწყვეტილება საპრეზიდენტო არჩევნებში ჩვენს მონაწილეობასთან დაკავშირებით და ამის შემდეგ ვისაუბრებთ გადაწყვეტილების შინაარსზე, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ რადიო „პალიტრის“ გადაცემაში „რეზიუმე“.

„ლევან ვასაძე პოლიტიკაში მოდის“

შორენა მარსაგიშვილი

„მის გუნდში მარგველაშვილი, უსუფაშვილი და მეუფე შიო იქნებიან“

უკვე კარგა ხანია მიდის საუბარი იმაზე, რომ რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი ლევან ვასაძე პოლიტიკაში მოსვლას აპირებს. 2013 წელს იმაზეც იყო საუბარი, რომ პოლიტიკიდან მიმავალ ივანიშვილს პრემიერად მისი დატოვება უნდოდა. როგორც „ოცნების“ კულუარებში ამბობენ, მაშინ ვასაძემ ამ შეთავაზებაზე უარი თქვა.

ამ წლების მანძილზე ის პოლიტიკური განცხადებების გაკეთებას ერიდებოდა. მარიხუანას ლეგალიზების შემდეგ, ვასაძე მკვეთრად დაუპირისპირდა ივანიშვილს და პოლიტიკური განცხადებებიც გააკეთა. სამოქალაქო აქტივისტი ლადო სადღობელაშვილი მიიჩნევს, რომ რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენი პოლიტიკაში მოსვლას აპირებს.

როდის ვიხილავთ ვასაძეს პოლიტიკაში, ვინ იქნება მის გუნდში, რატომ არ ენდო ივანიშვილი ბოლომდე კახა კალაძეს? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ლადო სადღობელაშვილი ესაუბრება.

ლადო სადღობელაშვილი:

– ჯერ კიდევ წლის დასაწყისში გითხარით, რომ „ოცნება“ საპრეზიდენტო არჩევნებში მხარს სალომე ზურაბიშვილს დაუჭერდა. რამდენიმე თვით ადრე გითხარით ისიც, რომ პრემიერი მამუკა ბახტაძე გახდებოდა. თავს არ ვიქებ, მაგრამ ჩემი პროგნოზები მართლდება. ვასაძეზეც გეტყვით რამდენიმე სიტყვას – ის პოლიტიკაში მოსვლას აპირებს. 31 ივლისს გადაცემა „რეაქციაში“ მან ისეთი განცხადებები გააკეთა, რომ მისი პოლიტიკაში მოსვლა გარდაუვალია.

– როდისთვის უნდა ველოდოთ ვასაძის პოლიტიკაში გამოჩენას?

– ვასაძე ჭკვიანი ადამიანია და პოლიტიკაში ასე უცბად არ შემოვარდება. ის 2020 წლისთვის სერიოზულ განაცხადს გააკეთებს და საპარლამენტო არჩევნებზე სერიოზულ ხმებს აიღებს.

– რატომ გგონიათ, რომ სერიოზულ რეიტინგს დადებს?

– მის მიმართ კეთილგანწყობაა. მას შეუძლია საზოგადოების გამაერთიანებელი იყოს.

– რა ნიშნით შეიძლება იყოს საზოგადოების გამაერთიანებელი, რაკი ბევრი ფული აქვს?

– ფული რა შუაშია? ვასაძეს ფული კი აქვს, მაგრამ არა იმდენი, რომ ამის გამო გაერთიანდეს მის გარშემო ხალხი. ის სულ სხვა რამის გამო უყვართ.

– რის გამო?

– იმის გამო, რომ გულწრფელია.

– ეს გულწრფელობა რაში გამოიხატება?

– იმაში, რომ რასაც ებრძვის, იმის უკან არ დგას. როგორც ამას პოლიტიკოსების დიდი ნაწილი აკეთებს.

– უფრო კონკრეტულად შეგიძლიათ რომ გვითხრათ?

– ვასაძე გამოდის ნარკოტიკების და პროსტიტუციის ლეგალიზების წინააღმდეგ. მაგრამ ის არც ნარკოტიკებით ვაჭრობს და არც ბორდელი არა აქვს. ყველამ იცის, რომ ვასაძე იდეინი ტიპია და რასაც ებრძვის, მართლა ებრძვის.

მისი მხარდამჭერი არ გეგონოთ, მაგრამ მას ამ წლების მანძილზე ვერანაირი დანაშაული ვერ უპოვეს. არადა ის თავისი იდეებით ლიბერასტებს ძალიან აღიზიანებს. მას მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს – რუსეთთან არის დაახლოებული.

– ეს ძალიან სერიოზული ნაკლია.

– ასე მარტივად ნუ ვიტყვით, რომ ნაკლია. ჩვენ ძალიან უცნაურ დროში ვცხოვრობთ. რუსეთი ჩვენთვის კი არის ოკუპანტი, მაგრამ მსოფლიოში მის მიმართ სხვა განწყობაა. ეს განწყობა ტრამპი-პუტინის შეხვედრის შემდეგ კიდევ უფრო შეიცვლება.

აქამდე დასავლეთს საქართველო რუსეთთან დასაპირისპირებლად სჭირდებოდა. ახლა მოსკოვის გაღიზიანება აღარ უნდათ და ჩვენც უნდა შევცვალოთ პოლიტიკა.

– რანაირად უნდა შევცვალოთ პოლიტიკა, რუსეთს კოჭი გავუგოროთ?

– კოჭი არ უნდა გავუგოროთ, მაგრამ მათთან დალაპარაკება მოგვიწევს. ჩვენი დასავლელი პარტნიორებიც ამას გვირჩევენ. ლევან ვასაძეს რუსეთთან კარგი ურთიერთობები აქვს. 2020 წელს მას რეიტინგის დადებაში ესეც შეუწყობს ხელს.

არც მისი და მეუფე შიოს მეგობრობა არ უნდა დავივიწყოთ. წარმატების მიღწევაში ვასაძეს ეს ფაქტორიც დაეხმარება. ძალიან ბევრს ნიშნავს, როცა პატრიარქი და ეკლესია გიდგას გვერდით.

– მეუფე შიოსთან მეგობრობა პატრიარქის მხარდაჭერას ნიშნავს?

– დიდი ალბათობით მეუფე შიო საქართველოს მომავალი პატრიარქია. ჩვენი უწმინდესი ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს, მაგრამ ადრე თუ გვიან დღის წესრიგში ახალი პატრიარქის არჩევის საკითხი დადგება. დიდი ალბათობით, ეს მეუფე შიო იქნება.

ამაში ისეთი დარწმუნებული არა ვარ, როგორც ბახტაძის გაპრემიერებაში, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ საპატრიარქო მეუფე შიოს სასარგებლოდ მიიღებს გადაწყვეტილებას. ის ძალიან ღირსეული მღვდელმთავარია.

– საქართველოს კიდევ ბევრი ღირსეული მღვდელმთავარი ჰყავს.

– ბევრი ღირსეული მღვდელმთავარი გვყავს, მაგრამ მეუფე შიოს რუსეთთან კარგი ურთიერთობები აქვს. ეს ცოტას არ ნიშნავს.

– პოლიტიკის გარდა, რელიგიური საკითხებიც რუსეთის კეთილგანწყობით უნდა გადავწყვიტოთ?

– ეს ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობის ბრალია. ჩვენ გარშემო მხოლოდ რუსეთი და საბერძნეთია მართლმადიდებლური ქვეყანა. მომავალ პატრიარქს ან ერთი ქვეყნის მხარდაჭერა უნდა ჰქონდეს, ან მეორის. ეს აუცილებელი არ არის, მაგრამ სასურველია.

მეუფე შიო ძალიან კარგი პატრიარქი იქნება და თუ ლევან ვასაძე მოვა ხელისუფლების სათავეში. ისინი ერთად ბევრ კარგ საქმეს გააკეთებენ.

– ვასაძეს ხელისუფლების სათავეში მოსვლის შანსი აქვს?

– მთლად სათავეში შეიძლება ვერ მოვიდეს, მაგრამ სერიოზულ რეიტინგს დადებს. არც ის დაგვავიწყდეს, რომ ის გიორგი მარგველაშვილის მეგობარია.

– მარგველაშვილს რა ისეთი რეიტინგი აქვს, რომ ვასაძეს დაეხმაროს?

– მარგველაშვილი 5 წელი იყო პრეზიდენტი და მან საერთაშორისო დონის კავშირები დაამყარა.

– პროდასავლური მარგველაშვილი და პრორუსული ვასაძე ერთად როგორ უნდა იყვნენ?

– ვინ არის პროდასავლური, მარგველაშვილი? მაგის პროდასავლურობა არ გაიშვას. წლების მანძილზე ის გამუდმებით გვიჩიჩინებდა, რომ საქართველო რუსეთის ორბიტაზე უნდა ტრიალებდეს. მედასავლეთეს იმიჯი გაპრეზიდენტების შემდეგ დაიყენა. ასე რომ, ეგ და ვასაძე კარგად გაუგებენ ერთმანეთს. 2020 წლისთვის მარგველაშვილი შესაძლოა პარლამენტში მაღალ თანამდებობაზე ვიხილოთ.

– გიგა ბოკერიასაც ხომ არ ვიხილავთ ვასაძის გუნდში? ეგ და მარგველაშვილი მეგობრები არიან.

– ბოკერია და ვასაძე ერთად წარმოუდგენელია. აი, დავით უსუფაშვილს კი მართლა ვხედავ მის გვერდით.

– უსუფაშვილი და ვასაძე ერთ გუნდში? ეს ძნელი წარმოსადგენია.

– ამ დროს სულაც არაა ძნელი წარმოსადგენი. უსუფაშვილი რუსეთს კი ლანძღავს, მაგრამ ეს მხოლოდ შირმაა. სინამდვილეში მას ძალიან კარგი ურთიერთობები აქვს მოსკოვთან. თქვენი აზრით, ბურჯანაძესთან რატომ აქვს უსუფაშვილს კარგი ურთიერთობა, იმიტომ რომ ეგეც პრორუსულია.

ახლა უსუფაშვილი მარგველაშვილთან ერთად საინტერესო თამაშს ითამაშებენ. საპრეზიდენტო არჩევნებში ჯერ ისევ მოქმედი პრეზიდენტი პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს დაუჭერს მხარს. გაიგებენ. რამდენი უჭერს მხარს და მერე ერთად მოემზადებიან საპარლამენტო არჩევნებისთვის.

– საპრეზიდენტო არჩევნებზე ვსაუბრობთ და რატომ უჭერს „ოცნება“ სალომე ზურაბიშვილს მხარს?

– ეგ ადრევე იყო გადაწყვეტილი. ამაზე რამდენიმე თვის წინ გესაუბრეთ. მაშინ ვიცოდი, რომ ზურაბიშვილი ოფიციალურად შევიდოდა „ოცნებაში“. ივანიშვილს ნამეტანი მოუვიდა, საკონსტიტუციო უმრავლესობა და ა.შ. ახლა სპექტაკლს დადგამენ ვითომ სალომე ზურაბიშვილი დამოუკიდებელი კანდიდატი იქნება. ამ ქალთან ერთად მთაწმინდაზე ვიყრიდი კენჭს. ქოცები მას იქ ოფიციალურად არ უჭერდნენ მხარს. არაოფიციალურად – იცოცხლე. ნაცებს ნიკა რურუა ჰყავდათ იქ წარდგენილი. იცით რამხელა ფულის ჭიდილი იყო ამ ორ კანდიდატს შორის? რურუას თავად აქვს ფინანსები, ზურაბიშვილს კი ბიძინა და „ოცნება“ აფინანსებდა.

– მის გარდა „ოცნებამ“ ასეთი დამოუკიდებელი კანდიდატი ვერ მოძებნა?

– მოძებნიდნენ, მაგრამ ბიძინას სხვა გათვლა ჰქონდა. მას ისეთი ადამიანი უნდა პრეზიდენტად, რომელსაც საფრანგეთში კარგი კავშირები აქვს. როგორც ამბობენ, ივანიშვილს ფრანგულ მართლმსაჯულებასთან პრობლემები აქვს. იმედოვნებს, რომ ზურაბიშვილი ამას დაულაგებს.

გარდა იმისა, რომ სალომეს კარგი კავშირები აქვს, ის მიმავალი პოლიტიკოსია და ამითაც აწყობს მთავარ მეოცნებეს.

– მიმავალი პოლიტიკოსი რას ნიშნავს?

– იმას, რომ ზურაბიშვილი მალე პენსიაზე გავა და პრეზიდენტის ვადის ამოწურვის შემდეგ, ამბიციები აღარ შეაწუხებს. სწორედ ამ ამბიციების გამო არ მისცა ივანიშვილმა კალაძეს არჩევნებში მონაწილეობის უფლება. კალაძესაც უნდოდა პრეზიდენტობა, მაგრამ ამის შემდეგ მას პრემიერობაც მოუნდებოდა. ზურაბიშვილს კი ასეთი ამბიცია აღარ ექნება. რაკი მაგ ქალზე ვსაუბრობთ, ეგეც კაი პრორუსულია. თავის დროზე საჯაროდ თქვა, დიპლომატიაში ჩემი იდეალი სერგეი ლავროვიაო.

მიხეილ სააკაშვილი: „ივანიშვილი მამაცაშვილთან ერთად აპირებს მარიხუანას ექსკლუზივის შექმნას მის სააფთიაქო ქსელში“

მარიხუანას მოხმარებისთვის ადმინისტრაციული სასჯელის გაუქმებასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას მიხეილ სააკაშვილი ეხმაურება.

სააკაშვილი ამბობს, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ, რომელსაც აკონტროლებს ივანიშვილი, ეს გადაწყვეტილება სულ სხვა მიზნით მიიღო.

– ივანიშვილს ეს გადაწყვეტილება უნდა სხვა მიზნისთვის. იმიტომ, რომ როგორც ახლა დადგინდა უტყუარად, მისმა დეიდაშვილმა უჩა მამაცაშვილმა ჩამოიყვანა ორი კვირის წინ კოლორადოს შტატიდან ექსპერტები მარიხუანას თემაზე და ისინი აპირებენ ივანიშვილის სააფთიაქო ქსელში ექსკლუზივის შექმნას და ასობით მილიონის იმაზე გაკეთებას, რომ საქართველოს საზოგადოების ერთი ნაწილი დაბოლდეს, მოიხმარდეს მარიხუანას და ასევე ეს გადიოდეს უცხოეთში. ჯერ ბერა გამოვიდა სიმღერით ლეგალიზაციაზე და შემდეგ უკვე ივანიშვილი შემოვიდა თავისი ინტერესებით, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა და აღნიშნა, რომ ივანიშვილმა გადაწყვიტა, საქართველო ნარკოტიკების დიდ მწარმოებლად აქციოს.

რომან გოცირიძე: „მარგველაშვილი ცდილობს, დამცირებისთვის შური იძიოს“

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრის რომან გოცირიძის განაცხადებით, პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის მხრიდან საპრეზიდენტო არჩევნებში ჩართვის ფორმაზე უპასუხოდ დარჩენილი კითხვა იმით აიხსნება, რომ „ქართულ ოცნებას“ აღიზიანებს, ანერვიულებს და უნდა, მმართველი გუნდი გაურკვევლობაში ამყოფოს.

– ყველა იმის გარკვევას ელოდა, მარგველაშვილი კენჭს იყრის თუ არა. მან ეს საკითხი კვლავ ღიად დატოვა და უფრო ჩანდა, რომ კენჭს არ იყრის. სურს, მსგავსი ტრიბუნა გამოიყენოს და შანსი ხელიდან არ გაუშვას, რომ „ქართულ ოცნებაზე“ იმ დამცირებისთვის შური იძიოს, რასაც ხუთი წლის განმავლობაში ხედავდა. უფრო ჩანს, რომ არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს, – განაცხადა გოცირიძემ.

აპირებს თუ არა მარგველაშვილი კვირიკაშვილთან თანამშრომლობას?

აპირებს თუ არა გიორგი მარგველაშვილი გიორგი კვირიკაშვილთან მომავალში თანამშრომლობას? ამ კითხვის პასუხად საქართველოს პრეზიდენტი აცხადებს, რომ კვირიკაშვილთან პოლიტიკურ გეგმებზე არასდროს უსაუბრია და მხოლოდ კონკრეტულ საკითხებზე მუშაობდნენ ერთად:

– გიორგი კვირიკაშვილთან ცხოვრებაში არასდროს მქონია პოლიტიკურ სამომავლო გეგმებზე საუბარი. კვირიკაშვილთან ვმუშაობდი, როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრთან, ვთანამშრომლობდი იმ ნაწილში, რა ნაწილშიც ჩვენ შეგვეძლო ერთად კონკრეტული საკითხები გაგვეკეთებინა და ქვეყნის მდგომარეობა წინ წაგვეწია, – განაცხადა მარგველაშვილმა.

აგვისტოს მეორე ნახევარში საქართველოს ანგელა მერკელი ეწვევა

მარიამ მჭედლიშვილი

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ინფორმაციით, აგვისტოს მეორე ნახევარში საქართველოში გაიმართება გერმანიის ფედერალური კანცლერის, ანგელა მერკელის ოფიციალური ვიზიტი.

ანგელა მერკელი საქართველოში გადამდგარმა პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ჯერ კიდევ 2016 წელს მოიწვია.

2017 წელი საქართველო-გერმანიის მეგობრობის წლად გამოცხადდა. კანცლერმა მიიღო მოპატიჟება საზეიმო ღონისძიებებზე დასასწრებად, რომლებიც ეძღვნებოდა საქართველოში გერმანული დასახლების დაარსების 200-წლისთავს და საქართველოსა და გერმანიას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25 წლის იუბილეს.

გერმანიის კანცლერს, რომელიც ევროკავშირის წამყვანი ფიგურაა, წინა წლებშიც არ აკლდა საზრუნავი. ანგელა მერკელი საქართველოში უფრო გართულებულ ფონზე ჩამოდის.

დასავლელი მიმომხილველების დასკვნით, მსოფლიოში პრობლემები მატულობს. ინგრევა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დადგენილი მსოფლიო წესრიგი. აშშ-სა და ევროპაში გრძელდება ჰელსინკის სამიტზე ტრამპსა და პუტინს შორის გამართული შეხვედრისა და ნატოს სამიტის შედეგების შეფასება.

გერმანელ პოლიტოლოგებს, პოლიტიკოსებს და ჩვეულებრივ მოქალაქეებს წუხილის საფუძველი გაუჩინა აშშ-ის პრეზიდენტის ახალმა განცხადებებმა ნატოს თაობაზე. ნატოს ევროპული სახელმწიფოები დაეთანხმნენ ტრამპის მოწოდებას თავდაცვის ხარჯების გაზრდაზე, მაგრამ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გარშემო ატეხილი აურზაური ამით არ დამთავრებულა.

უცხოური მედიის ცნობით, ევროპაში სერიოზულად მსჯელობენ იმაზე, რა უნდა მოიმოქმედონ მაშინ, თუ აშშ დატოვებს ნატოს.

გერმანიაში გახსნილია დისკუსია თემაზე: „სჭირდება თუ არა გერმანიას ბირთვული იარაღი?“

პოლიტოლოგი ქრიატიან ჰაკე აუცილებლად მიიჩნევს ბუნდესვერის ბირთვულ შეიარაღებას. გრძელდება საუბარი ევროპული შეიარაღებული ძალების შექმნაზე.

შექმნილ ვითარებაში ევროპაში გამოიკვეთა ორი ჯგუფი. ერთ ჯგუფში შედიან ულტრამემარცხენეები და ულტრამემარჯვენეები, რომლებიც მოითხოვენ პუტინის წინაშე თავის დახრას. ისინი მზად არიან, პუტინი ევროპის პატრონად აღიარონ. მეორე ნაწილი დარწმუნებულია, რომ ევროპამ თავისი უსაფრთხოება თვითონ, ამერიკის გარეშე უნდა დაიცვას.

უკრაინელი მიმომხილველების თქმით, ბრიუსელის სამიტამდე ევროპას ნატოს იმედი კიდევ ჰქონდა. ალიანსის ბოლო სამიტზე ამერიკის პრეზიდენტმა ევროპელებს გამოუცხადა, რომ ამერიკას შეუძლია თავისი საქმეებით დაკავდეს და ევროპელი მოკავშირეების დაცვას თავი გაანებოს. ამან საგონებელში ჩააგდო მთელი ევროპა.

ბრიუსელის შემდეგ, ავტორების სიტყვებით, ევროპელ ლიდერებს გაახსენდათ, რომ რუსეთს ევროპის საზღვრებთან ჰყავს ჯარები. მაგალითად, სომხეთში, მოლდოვაში, საქართველოსა და უკრაინაში. რუსეთი იპყრობს ამ ქვეყნების ტერიტორიებს. ევროპას არ მოუხდენია რეაგირება მაშინ, როცა რუსეთმა დაგლიჯა საქართველო და მოლდოვა. უკრაინის გამო ისინი თანაგრძნობას გამოთქვამენ, მაგრამ ამაზე მეტს არ აკეთებენ.

ევროპის უსაფრთხოებაზე საუბრობენ პოლონელი პოლიტოლოგები. ისინი აცხადებენ, რომ პოლონეთს ტრამპმა უღალატა, ვინაიდან უარი თქვა ულტიმატუმების წამოყენებაზე პუტინის წინაშე.

პოლონეთში ბევრს მიაჩნია, რომ ევროპაში უნდა დაიწყოს ანტირუსული ტალღა.

პუტინთან დიალოგის მიუხედავად, დონალდ ტრამპი რუსეთის წინააღმდეგ სანქციების გაუქმებას არ აპირებს. გერმანელი ექსპერტების აზრით, ეს სანქციები დროთა განმავლობაში დაანგრევს რუსეთის ენერგეტიკულ მრეწველობას და ევროპის დამოკიდებულებას რუსეთზე. დღეს რუსეთი დიდი მოცულობის ნავთობსა და გაზს მოიპოვებს, თუმცა ეს წინა წლების ინვესტიციების შედეგია. სანქციები პირდაპირ ურტყამს ახალ საბადოებს, მათ გარეშე კი რუსეთს ენერგეტიკული მომავალი არ გააჩნია.

საბანკო ჯანგო — ვინ არის წამყვანი

რატომ ყიდის „ქართუ ბანკს“ ივანიშვილი, რატომ აყოვნებს გაერთიანებას „ლიბერთი ბანკთან“ და იქნება თუ არა ლიდერი ბანკების რეალური კონკურენტი ამ უცნაური შერწყმის შემდეგ წარმოშობილი ფინანსური ინსტიტუტი. „ორმა ბანკმა ქვეყანა გადაჭამა“ – ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუდან ამ ფრაზას ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოხმაურება მოჰყვა. საზოგადოებაში კიდევ უფრო გაძლიერდა მოლოდინი, რომ საბანკო სექტორში მესამე ძლიერი ბანკის გამოჩენაა მოსალოდნელი, ბანკის, რომელიც რეალურ კონკურენციას გაუწევს ბაზრის ლიდერებს – „თიბისი ბანკსა“ და „საქართველოს ბანკს“. თუმცა, იმ რეალობაში, როდესაც ქართული ბაზარი მსოფლიოს მოწინავე ბანკებმა „სოსიეტე ჟენერალმა“ და ზშ ჩ-მა დატოვეს, ხოლო სხვა ქართული ბანკები დიდად ჩამორჩებიან სექტორის ლიდერებს, რთულად წარმოსადგენია, არსებული სიტუაცია მილიარდერი ბიძინა ივანიშვილის ქმედითი ჩარევის გარეშე შეიცვალოს.

ივანიშვილი რომ საბანკო სექტორში არსებული სიტუაციის შეცვლას გეგმავს, ამის შესახებ ჯერ კიდევ წლის დასაწყისში დაიწყო საუბარი, მაშინ, როდესაც მისი ბანკის „ქართუსა“ და პატარკაციშვილების ოჯახის ბანკის „ლიბერთის“ გაერთიანების შესახებ გავრცელდა ინფორმაცია. ამას მითქმა-მოთქმაც დიდი მოჰყვა, ამბობდნენ, რომ ყველაფერი გადაწყვეტილი იყო და გარიგებას ხელს ვერაფერი შეუშლიდა, თუმცა ეროვნულ ბანკში დღემდე აცხადებენ, რომ ბანკების გაერთიანების შესახებ მათთვის არავის მიუმართავს. როგორც ჩანს, საქართველოს ყველაზე მდიდარი ადამიანები ბიძინა ივანიშვილი და პატარკაციშვილების ოჯახის

წარმომადგენელი, ირაკლი რუხაძე საბოლოო დეტალებზე ვერ შეთანხმდნენ, თუმცა ბანკების გაერთიანების თემა რომ კვლავ აქტუალურია, ამას თავისი ბოლო ტელეინტერვიუს დროს ივანიშვილის მიერ გაჟღერებული მოსაზრებები და შემდგომ ატეხილი აჟიოტაჟიც ცხადყოფს. როგორც ჩანს, ივანიშვილმა გადაწყვიტა ერთი მხრივ ყოფილი ფინანსთა მინისტრის და ახლა უკვე პრემიერის მამუკა ბახტაძის მეშვეობით მნიშვნელოვანი რეგულაციებისა ქვეშ მოაქციოს საფინანსო სექტორი, ხოლო მეორე მხრივ ხელი შეუწყოს ისეთი ბანკის შექმნას, რომელიც დაარღვევს „თიბისი ბანკისა“ და „საქართველოს ბანკის“ ჰეგემონიას.

ოლიგარქიული გარიგება

ივანიშვილი-რუხაძე რომ არახალია, ამას ტელეკომპანიების „იმედის“, „მაესტროსა“ და ტელეკომპანია GDS-ის ერთი ქოლგის ქვეშ ოპერირებაც ცხადყოფს. შესაბამისად, მათ არ უნდა გაუჭირდეთ ორი საკუთარი ბანკის გაერთიანებაც. ამ შემთხვევაში, ალბათ, გასარკვევია თუ რომელი ბანკის სახელით გააგრძელებს ფუნქციონირებას უკვე ახალი ბანკი და ვინ გააკონტროლებს მას და რა პირობებსა და მომსახურებას შესთავაზებს მომხმარებლებს, რითი გააუმჯობესებს საფინანსო ბაზარზე არსებულ სიტუაციას, როგორი საპროცენტო განაკვეთები ექნება სესხებსა თუ დეპოზიტებზე, როგორ მოახერხებს უკეთესი პირობებით სესხებისა გაცემას და რა ხერხებით შეძლებს „თიბისი ბანკთან“ და „საქართველოს ბანკთან“ კონკურენციის დაძლევას.

ზოგადად, ეს პოტენციური გაერთიანება, შესაძლოა, იდეალურიც აღმოჩნდეს, ვინაიდან „ქართუ“ კორპორატიულ დაკრედიტებაზე ორიენტირებული საფინანსო ინსტიტუტია, ხოლო „ლიბერთი ბანკის“ სასესხო პროდუქტების ძირითადი ვექტორი ფიზიკურ პირებზე გადის. თუმცა, ამ შემთხვევაში, საგულისხმოა ერთი ფაქტი, რაც დღემდე ვერდასრულებული გარიგების ერთ-ერთ მიზეზადაც დასახელდა – „ლიბერთი ბანკის“ საპროცენტო შემოსავალი, რაც მისი მოგების გენერირების ძირითადი წყაროა, საპენსიო სესხებიდან მოდის და ეს ტენდენცია ლადო გურგენიძის მმართველობის დროს უაღრესად გაძლიერდა. საპენსიო სესხების კაბალურ პირობებზე ადრეც ბევრი ითქვა და დაიწერა. ბოლო პერიოდში, ამ ვითარების გაუმჯობესებას და რეპუტაციის გამოსწორებას რუხაძის მენეჯმენტიც ცდილობს და ამ საქმეს ეროვნული ბანკის ბოლოდროინდელი და კიდევ მოსალოდნელი რეგულაციებიც ეხმარება. თუმცა, ფაქტია, წლობით მიმდინარე ტენდენციის ერთი ხელის მოსმით 180 გრადუსით შეტრიალება არც იოლი საქმეა და არც მოკლე დროშია შესაძლებელი. ბუნებრივია, ლოგიკას მოკლებული ვერ იქნება მოსაზრება, რომ ივანიშვილი ამ გარიგების დასრულებას არ ჩქარობს, რამდენადაც სწორედ ზემოაღნიშნული მომენტები აფიქრებს. თუმცა, საბოლოოდ რა გადაწყვეტილებას მიიღებენ მხარეები, ამას დრო გვიჩვენებს – მით უფრო, რომ საბანკო სექტორში მესამე, ძლიერი ბანკის გამოჩენის თემა სულ უფრო აქტუალური ხდება.

მოსალოდნელი რეალობა რიცხვებში

საინტერესოა, თუ რა რეალობას მივიღებთ იმ შემთხვევაში, თუ გარიგება შედგა და „ლიბერთი“ და „ქართუ“ ბანკები გაერთიანდნენ. ამ შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანია ბანკების აქტივების მაჩვენებელი – 2018 წლის 3 კვარტლის მონაცემებით „ქართუ ბანკის“ მთლიანი აქტივები 1 მილიარდს შეადგენს, ხოლო „ლიბერთი ბანკის“ აქტივები – 2 მილიარდს, ანუ გაერთიანების შემთხვევაში ახალი ბანკის მთლიანი აქტივები 3 მილიარდი იქნება. რაც შეეხება „თიბისი ბანკს“, მისი აქტივები 13 მილიარდს უტოლდება, „საქართველოს ბანკის“ აქტივების მოცულობა კი 12 მილიარდია. ანუ, გაერთიანების შემთხვევაშიც კი ახალი ბანკი „თიბისი ბანკსა“ და „საქართველოს ბანკს“ საკმაოდ ჩამორჩება. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ მათი მფლობელების, ივანიშვილსა და რუხაძის ფინანსურ შესაძლებლობებს, ბანკის მოკლე დროში გაძლიერება და პოზიციონირების მხრივ ახალ ნიშნულზე გასვლა ძნელი არ იქნება.

რაც შეეხება გაცემული სესხების მოცულობას, „ქართუ ბანკის“ მიერ გაცემული მთლიანი სესხების მაჩვენებელი 803 მილიონია, „ლიბერთი ბანკის“ მთლიანი საკრედიტო პორტფელი 916 მილიონი. ანუ ჯამურად 1 მილიარდ 719 მილიონი. რაც შეეხება „თიბისი ბანკს“, ის 8 მილიარდ 869 მილიონის საკრედიტო პორტფელს მართავს, ხოლო „საქართველოს ბანკის“ მთლიანი სესხების მაჩვენებელი 7 მილიარდ 644 მილიონია.

ბპნ

მერიის ზედამხედველობის სამსახურმა „არქი“ 8.000 ლარით, „აქსისი“ კი 4.000 ლარით დააჯარიმა

თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა სამშენებლო კომპანია „აქსის გრუპი“ პროექტის დარღვევის გამო 4.000 ლარით დააჯარიმა. ზედამხედველმა ორგანომ შესაბამისი აქტი კომპანიას 2018 წლის 2 მარტს გამოუწერა.

თბილისის მერიიდან გამოთხოვილი მასალებით კომერსანტმა გაარკვია ისიც, რომ შპს „აქსისი“ უსაფრთხოების წესების დარღვევის გამო, 2014 წელსაც დაჯარიმდა 3.000 ლარით, ხოლო 2011 წელს პროექტის დარღვევისთვის – 4.000 ლარით.

უნებართვო მშენებლობისთვის 2018 წლის 5 ივნისს მერიის ზედამხედველობის სამსახურმა 8.000 ლარით დააჯარიმა შპს „არქი დიღომიც“.

კომპანიას სანქცია დაედო 2018 წელის 13 ივნისსაც. საუბარია პრესტიჟულ საცხოვრებელ სახლზე ქალაქის ცენტრში – შ.პ.ს „არქი თაუერსზე“. მიზეზი აქაც პროექტის დარღვევა იყო, ხოლო ჯარიმის ოდენობა 4 000 ლარით განისაზღვრა.

„კომერსანტი“ შეეცადა სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლებთან დაკავშირებას თუმცა, მათ ჩვენ ზარებს არ უპასუხეს.

კომერსანტი

გამორჩეული ქართველი პოლიტიკოსი!

ნინოს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ 26 მაისს, როდესაც ხალხს არბევდნენ და კლავდნენ, თავის შვილებთან ერთად ამაყად იდგა ეს ვაჟკაცი და უშიშარი ქალი. ნინო არის უაღრესად განათლებული და უკეთილშობილესი ადამიანი. ის რომ მოსკოვში ჩავიდა თავისი სამშობლოს საკეთილდღეოდ, ჯერ მისი სიმამაცე და გამბედაობა იმაში გამოიხატებოდა, რომ გაგანია ზამთარში, -40 გრადუსიან ყინვაში ისე ეცვა და ისე ამაყად იდგა, თითქოს რუსეთში გაზაფხული იყო. მინდა ნინოს დედიკოს ვაჟა-ფშაველას ერთი სტროფი ვუთხრა: „ლამაზად შვილის გამზრდელი, დედა მიცნია ღმერთადა“. აი, ვინ უნდა იყოს საქართველოს პრეზიდენტი.

ნინო გამოწრთობილი პოლიტიკოსია, თანაც მაგარი. არაფერი ეშლება – ეს იცოდეთ.

დიდხანს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ვუსურვებ ქალბატონ ნინოს თავის დიდ ოჯახთან ერთად.

იბო დოლიძე

თედო ისაკაძე: „ტაქსებთან დაკავშირებით მგზავრებს პრეტენზიები სულ ჰქონდათ, მაგრამ არ იცოდნენ, ვისთვის მიემართათ“

რა შეიცვლება და როგორ აისახება დედაქალაქის ცხოვრებაზე ახალი რეგულაციები, ამ საკითხზე „კომერსანტი“ თბილისის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს თედო ისაკაძეს ესაუბრა.

თედო ისაკაძის თქმით, 1 აგვისტოს დაიწყო თბილისის სატაქსო მომსახურების სფეროს რეფორმის პირველი ეტაპი, რომლის მთავარი მიზანია სფეროში არსებული მდგომარეობის დიაგნოსტიკა და ამ ბიზნესში დაკავებული მოქალაქეების შემზადება მეორე ეტაპისათვის, რომელიც უკვე გარკვეულ რეგულაციებს გულისხმობს.

– რა რეგულაციები იგეგმება მეორე ეტაპისათვის?

– გარკვეული მონახაზი უკვე არსებობს. ბუნებრივია, მხედველობაში მიიღება ავტომობილის ტექნიკური მდგომარეობა, საჭის განთავსების ადგილი, კარების რაოდენობა და, რა თქმა უნდა, ჰიგიენურ-სანიტარული მხარე.

– ბოლო საკითხთან დაკავშირებით ოპოზიციის მხრიდან დაისვა კითხვა, ვინ შეამოწმებს ტაქსის სანიტარულ მდგომარეობას, პატრული თუ რომელიმე სხვა მაკონტროლებელი?

– ეს მოთხოვნა მომხმარებელთა უფლებების სფეროს განეკუთვნება – მიიღონ ხარისხიანი მომსახურება. პრეტენზიები ტაქსების მდგომარეობასთან დაკავშირებით ახლაც არის, უბრალოდ, რეგულაციის უქონლობის პირობებში მგზავრმა არ იცის, ვის მიმართოს, არც მძღოლის ვინაობაზე აქვს წარმოდგენა. რეგულაციის პირობებში აუცილებელი ხდება მძღოლის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის განთავსება მგზავრისათვის ხელმისაწვდომ ადგილზე, ანუ მას ეცოდინება მძღოლის ვინაობა და ლიცენზიის ნომერი. შესაბამისად, ექნება შესაძლებლობა, პრეტენზიები დააფიქსიროს ლიცენზიის გამცემ ორგანოსთან. იქ, სადაც სამოქალაქო საზოგადოებაა, მომხმარებელი, ანუ მოქალაქე თავად არის კონტროლის ეფექტური ბერკეტი. ასე რომ, არა მგონია პატრულს ზედმეტი დატვირთვა გაუჩნდეს.

– ზოგადად, რეგულაციის რომელ მოდელზე აპირებს თბილისი გადასვლას, ხომ არსებობს უკვე აპრობირებული მოდელები?

– გეთანხმებით, მსოფლიოს განვითარებულ ქალაქებში ამ სფეროში ათწლეულების გამოცდილება დაგროვდა. ზოგადი თვალსაზრისით, დღეს ორი-სამი მოდელი მოქმედებს, რომლებიც განსხვავდება ლიცენზიის ვადის, ტარიფების რეგულაცია-დერეგულაციის, ერთიანი ვიზუალური სტანდარტის და სხვა თვალსაზრისით, თუმცა ყველა მათგანი მორგებულია თითოეული ამ ქალაქის სპეციფიკაზე. იქ, სადაც ველოსიპედის გამოგონება არაა საჭირო, მიმაჩნია, რომ გაკვალული გზით უნდა ვიაროთ, მაგრამ მოვარგოთ თბილისს და მის სოციალურ-ურბანულ გარემოს. საბოლოო ჯამში, დარწმუნებული ვარ, რეფორმა პოპულარული რეფორმების რიგში გავა, იმიტომ, რომ დაკვეთაა მოსახლეობისგან ამ საკითხის მოწესრიგებასთან.

კომერსანტი

ბათუმის აეროპორტში აბრის მიხედვით ტურისტები საქართველოს ნაცვლად თურქეთში ჩამოდიან

საქართველო, ქვეყანა, რომლის უმთავრესი პრიორიტეტი ტურიზმია, ამ მიმართულებით არაერთი გამოწვევის წინაშე დგას. კერძოდ:

რამდენიმე დღის წინ, ერთ-ერთ მგზავრს, რომელიც ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში ჩამოფრინდა, აბრაზე საქართველოს ნაცვლად დახვდა წარწერა – ჩამოსვლა თურქეთში.

მსგავსი ინფორმაცია სიახლე აღმოჩნდა თავად საქართველოს ტურიზმისა ეროვნული ადმინისტრაციისთვის.

– პირველად მესმის და აქამდე არ მქონია მსგავსი ინფორმაცია. თუ ასეა, რა თქმა უნდა, ეს ძალიან ცუდი ფაქტია. გაოგნებული ვარ. თუმცა დეტალურად ვერაფერს გეტყვით, რადგან არაფერი ვიცი, – აცხადებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი ჩოგოვაძე.

ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში საქართველოს ნაცვლად აქამდე ჩამოსულ მგზავრს წლების განმავლობაში რომ თურქეთი ესალმებოდა, ამის შესახებ ინფორმირებული არ იყო არც აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი.

ფაქტის შესახებ ინფორმაცია უწყებამ სწორედ „კომერსანტიდან“ შეიტყო და ახლა დეტალების გარკვევაშია.

როგორც კი ყველა შესაბამისი უწყებიდან პასუხებს მივიღებთ, ოპერატიულად მოგაწვდით ინფორმაციას.

რაც შეეხება კონკრეტულად იმ კომპანიის (Tav Georgia) პოზიციას, რომელიც ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის ოპერატორია, როგორც ირკვევა, აბრა უკვე შეცვლილია, თუმცა კითხვაზე, რატომ იყო წლების განმავლობაში მსგავსი წარწერა, ჯერჯერობით პასუხი არ არის. იხილეთ Tav Georgia-ს ოფიციალური განმარტება უცვლელად:

– აღნიშნული წარწერა ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში გახსნის დღიდან იყო განთავსებული. იქიდან გამომდინარე, რომ ტერმინალს იყენებს ორი ქვეყანა (შეთანხმება საქართველოსა და თურქეთის მთავრობებს შორის 2006 წელს გაფორმდა) ეს აბრა იყო გზამკვლევი იმ მგზავრებისთვის, რომლებიც თურქეთში, კონკრეტულად კი ხოფაში მიემგზავრებოდნენ. შესაბამისად, აბრაზე იყო წარწერა ისრით, რომელიც მიუთითებდა ხოფას მგზავრებისთვის განკუთვნილ ჩამოსვლის დარბაზისკენ.

იქიდან გამომდინარე, რომ ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში მოფრენის დარბაზის გაფართოების სამუშაოები ერთი თვის წინ დასრულდა, შეიცვალა კონფიგურაციაც. აეროპორტში ჩამოსული მგზავრი, რომელიც ხოფაში მიემგზავრება, უკვე დერეფნის გავლით მიემართება გასასვლელისკენ და სპეციალურად გამოყოფილი ავტობუსების საშუალებით, რომელსაც თურქეთის სახელმწიფო უზრუნველყოფს, გადადის თურქეთში. მგზავრისთვის, რომელიც ამ დერეფანს იყენებს, უფრო გასაგები რომ იყოს, შეიცვალა აბრების მდებარეობაც და თავად წარწერაც. ძველი წარწერა „ჩამოსვლა (თურქეთი)“ – „Arrivals Hopa (Turkey)“ შეიცვალა ახალი წარწერით – „ხოფაში მიმავალი მგზავრებისთვის“ -„Hopa Passengers“.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ მსგავსი პრეცედენტი არსებობს არაერთ ქვეყანაში. მაგალითად, ჟენევის აეროპორტი, რომელსაც ასევე ორივე ქვეყანა იყენებს, საფრანგეთი და თავად შვეიცარია. ჟენევის აეროპორტში განთავსებულია აბრა, სადაც მითითებულია მსგავსი შინაარსის წარწერა: „ფრანგული სექტორი“– „French Sector, – ნათქვამია კომპანიის ოფიციალურ განცხადებაში.

შეგახსენებთ, „ტავ ჯორჯია“ „TAV Airports Holding“-ის შვილობილი კომპანიაა და მისი საქმიანობა საქართველოში 2005 წელს დაიწყო. მოქმედი კონტრაქტით ოპერირება 2027 წლამდე გაგრძელდება. საქართველოში განხორციელებული 180 მილიონზე მეტი აშშ დოლარის ინვესტიციის შედეგად, 2007 წელს ექსპლოატაციაში შევიდა თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტების ახალი სამგზავრო ტერმინალები.

კომერსანტი

საქართველო ავიაჰაბი ვერ გახდება, თუ არ გამოჩნდა სპეციალური გადამზიდავი

ქვეყნის აეროპორტების გამტარუნარიანობა იზრდება. საქართველოს აეროპორტების გაერთიანების ინფორმაციით, განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი, რომელშიც სახელმწიფო ოპერირებს. 6 თვის მონაცემებით, ქუთაისის დავით აღმაშენებლის საერთაშორისო აეროპორტი 234 .743 მგზავრს მოემსახურა.

რა შანსი აქვს საქართველოს, რომ გახდეს ავიაჰაბი? ამ და სხვა საკითხებზე „კომერსანტი“ საქართველოს აეროპორტების გაერთიანების დირექტორს ქეთი ალექსიძეს ესაუბრა:

– რამ განაპირობა ავიაბაზრის ზრდის ასეთი ტემპი?

– რამდენიმე ფაქტორმა: პირველი – არის მზარდი ინტერესი საქართველოს მიმართ, როგორც ტურისტული მიმართულებისადმი. სხვადასხვა აქტივობა განხორციელდა მიზნობრივ ბაზრებზე ტურიზმის სააგენტოს მიერ. მეორე ფაქტორი ახალი ავიამიმართულებები – თბილისიდან, ქუთაისიდან თუ ბათუმიდან. ავიაკომპანიები ზრდიან სიხშირეებს და უფრო დიდი საჰაერო ხომალდებით ახორციელებენ ფრენებს.

– დღეს აეროპორტების ინფრასტრუქტურას რა რაოდენობის მგზავრის გატარება შეუძლია, ვიცით, რომ ამ კუთხით მიმდინარეობს ქუთაისის აეროპორტის გაფართოება. როდისთვის დასრულდება პროექტი და საბოლოოდ საათში რამდენი მგზავრის მომსახურება გახდება შესაძლებელი?

– ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი არ არის გათვლილი ასეთ მგზავრთნაკადზე. ჩვენ სამჯერ ვაფართოებთ აეროპორტს, რაც საათში 1 200 მგზავრის გატარების საშუალებას მოგვცემს. რეალურად ეს არის ერთდროულად ექვსი რეისი. ვფიქრობთ, რომ ეს იქნება აეროპორტისთვის ახალი შესაძლებლობა. ჩვენ ვსაუბრობთ დაბალბიუჯეტიან ავიაკომპანიებთან, მათთვის მნიშვნელოვანია, როცა აეროპორტს აქვს საშუალება შესთავაზოს კომფორტი. იზრდება აეროპორტის კონკურენტუნარიანობა. თბილისში ასაფრენ-დასაფრენი ზოლის რემონტი დასრულდა. ასევე შემუშავებული გვაქვს ბათუმის აეროპორტისთვის განვითარების გრძელვადიანი გეგმა.

– რა უნდა შეიცვალოს აეროპორტებში – ინფრასტრუქტურა, ხარისხი, ფასები თუ უფრო ძლიერი მოთამაშეები უნდა შემოვიდნენ, რომ საქართველო საავიაციო ჰაბად ჩამოყალიბდეს?

– ჰაბი არის თურქეთი, დუბაი, დოჰა – ვინ არის ამ ჰაბში? აეროპორტის გარდა არსებობს გადამზიდავი. რეალურად ტრანზიტულ შემაერთებელს ქმნის ავიაკომპანია. ეს არის ტრანზიტული ავიაკომპანიის კონცეფცია – ძირითადია აეროპორტი, სადაც აგროვებს მგზავრებს და შემდეგ ანაწილებს. ამ ჯაჭვში აეროპორტი მნიშვნელოვანია, იმიტომ, რომ ინფრასტრუქტურა ჰაბის შექმნას ხელს უნდა უწყობდეს. ქვეყანაში უნდა ოპერირებდეს ავიაკომპანია, რომელიც ახორციელებს არა მხოლოდ პირდაპირ ფრენებს, არამედ ტრანზიტულ გადაზიდვებს. თუ არ არსებობს კონკრეტული გადამზიდავი, რომელიც ახორციელებს შემაერთებელ ფრენებს, რომ მივიღოთ კლასიკური გაგებით ჰაბი, ცოტა გაგვიჭირდება.

– ავიაბაზარზე რომელ კომპანიას აქვს შანსი, რომ საქართველო, როგორც ავიაჰაბი, განავითაროს?

– „საქართველოს ავიახაზები“ აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით და პარალელურ რეჟიმში ინფრასტრუქტურამ უნდა შეუწყოს ხელი. შესაძლებელია გვქონდეს მიმზიდველი პირდაპირი ფრენები მეზობელი ქვეყნებისთვის ან გვქონდეს დაბალი ფასები. გავაჩინოთ სურვილი, რომ ჩამოფრინდნენ საქართველოში, აქ იყიდონ ბილეთი და ისევ გაფრინდნენ.

– თბილისში, რამდენიმე თვის წინ გაიმართა საკმაოდ მასშტაბური საერთაშორისო ავიაფორუმი Connect 2018, რომელშიც მონაწილეობას 65 ავიაკომპანიისა და 250 აეროპორტის 500-ზე მეტმა წარმომადგენელმა მიიღო. რა არის ამ ფორუმის პირველი შედეგი?

– ერთ-ერთი, რაც მოუტანა, ეს არის ავიაკომპანიების მზარდი ინტერესი საქართველოს ბაზრის მიმართ.

– რა არის დღეს ავიაბაზრის მთავარი გამოწვევა? სამოქალაქო ავიაცია თუ გადაზიდვები? სად არის განვითარების უფრო მეტი შესაძლებლობა?

– ვიზალიბერალიზაციის და „ღია ცის“ პოლიტიკიდან გამომდინარე, რეალურად ჩვენ კონკურენციის გაწევა გვიწევს არა მხოლოდ მეზობელი ქვეყნებისთვის. მეტი არგუმენტების წარდგენა გვმართებს, დავაინტერესოთ ავიაკომპანიები, რომ დაამატონ მეტი სიხშირე კონკრეტულ მიმართულებაზე. ეს ჩვენ დიდ მოტივაციას გვაძლევს, რომ კონკურენტული უპირატესობა სწორად დავანახოთ და მნიშვნელოვანი იყოს ავიაკომპანიების პორტფელიოში ჩვენი ქვეყნის არსებობა.

– როგორია საქართველოს ავიაბაზრის განვითარების პერსპექტივა? თქვენ საუბრობდით ქუთაისის აეროპორტის არა მარტო სამგზავროდ, არამედ სატვირთო მიმართულებით გამოყენებაზეც?

– ქუთაისის აეროპორტი ახორციელებს მხოლოდ სამგზავრო გადაზიდვებს, ჩვენ არ გვაქვს სატვირთო ტერმინალი. აეროპორტი არ არის გათვალისწინებული დიდი საჰაერო ხომალდებისთვის და სატვირთო გადაზიდვებისთვის. თუმცა ჩვენ ვმუშაობთ საკმაოდ აქტიურად „კარგო“ ტერმინალის მიმართულებითაც. რა ინვესტიცია დასჭირდება ამ პროექტს ჯერ არ ვიცთ.

კომერსანტი

„ზოგიერთ ფარმაცევტულ კომპანიას 1000%-იანი მოგების მარჟა აქვს“

– ზოგიერთ ფარმაცევტულ კომპანიას 1000%-იანი მოგების მარჟა აქვს დაწესებული, – ამის შესახებ პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ, აკაკი ზოიძემ „საქმის კურსის“ ეთერში განაცხადა. მისი განმარტებით, თუ სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული სახის მედიკამენტების ფასზე პირდაპირი რეგულაციები დაწესდება, ეს ბიზნესს არ დააქცევს.

– ზოგიერთ ფარმაცევტულ კომპანიას 1000%-იანი მოგების მარჟა აქვს დაწესებული და თუ შეუმცირდებათ ის 100%-იანზე, ან თუნდაც 20%-ზე, არ მგონია ამით ბიზნესი დაიქცეს. მეორეც, თუ ეს კომპანიები აქედან წაგებულ თანხას იმ მედიკამენტებს წაუმატებენ, რომელიც რეალურად ბიოდანამატია და სიცოცხლისთვის აუცილებელ და ჯანმრთელობის გადამრჩენ მედიკამენტს არ წარმოადგენს, ამ შემთხვევაში, სახელმწიფოს დიდი პრეტენზია არ გვექნება. პირიქით, ხელს შევუწყობთ მას, თუ, რა თქმა უნდა, ბაზარი აიტანს ამ ფასს, – განაცხადა აკაკი ზოიძემ.

ბმ.გე

როდის აიკრძალება ქვეყანაში პოლიეთილენის პარკების მოხმარება – დადგენილების პროექტი უკვე მზად არის

პოლიეთილენის პარკების აკრძალვასთან დაკავშირებით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დადგენილების პროექტი უკვე მოამზადა.

როგორც უწყებაში აცხადებენ, ის მთავრობას რამდენიმე დღეში გადაეგზავნება. პროექტის მიხედვით, გარემოსთვის ზიანის მიყენების შემცირების მიზნით, პოლიეთილენის პარკების ნაწილი 2018 წლის 1-ლი ოქტომბრიდან, ნაწილი კი 2019 წლის 1-ლი აპრილიდან აიკრძალება.

როგორც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის დეპარტამენტის უფროსი ალვერდ ჩანქსელიანი „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აცხადებს, სამინისტროში პროექტმა ყველანაირი ეტაპი გაიარა და მთავრობისგან დამტკიცებას ელოდება.

– პროექტის მიხედვით, პირველი ოქტომბრიდან 15 მიკროზე ნაკლები სისქის პლასტიკის პარკები აიკრძალება. მთლიანად აიკრძალება ოქსოდეგრადირებადი პარკები, ეს იგივე პლასტიკის პარკებია, მაგრამ უფრო მცირე ნაწილებად იშლება და კიდევ უფრო მეტ პრობლემას ქმნის.

მომავალი წლის აპრილიდან აიკრძალება 50 მიკროზე ნაკლები სისქის პლასტიკის პარკები. შესაბამისად, დაინერგება ბიო დეგრადირებადი პარკების წარმოება, იმპორტი და გამოყენება, – განაცხადა ჩანქსელიანმა.

პლასტიკის პარკების აკრძალვაზე საუბარი 2017 წლიდან დაიწყო, პროექტის განხორციელება უკვე 2018 წლის იანვრიდან იგეგმებოდა. თუმცა ამ თარიღისთვის პროექტის დასრულება შეფერხდა და ამოქმედების თარიღმა გადაიწია.

ბან

გაუპატიურების მცდელობა თუ ხუმრობა გორში? — 16 წლის გოგოს მშობლებმა სარჩელი გამოიტანეს

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქიწნისში მომხდარი შემზარავი ფაქტის შესახებ „ნიუპოსტის“ კორესპონდენტმა დამატებითი ინფორმაციის მოპოვება შეძლო. როგორც ირკვევა, 20 წლის ახალგაზრდამ, რომელმაც 16 წლის მოზარდის გაუპატიურება სცადა, ინცინდენტის დროს არაფხიზელ მდგომარეობაში იყო.

როგორც დაზარალებული გოგონას ახლობელი „ნიუპოსტს“ უყვება, შემთხვევა 4 დღის წინ, არასრულწლოვანის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა.

ქიწნისში ამბობენ, რომ ახალგაზრდა მამაკაცმა გოგონას პირზე ხელი ააფარა და მის გაუპატიურებას ცდილობდა. არასრულწლოვანმა მოძალადისგან თავის დაღწევა შეძლო და საშველად დედას დაუძახა. ქალმა კი პოლიციას მიმართა.

როგორც ირკვევა, მოძალადე და მსხვერპლი მეზობლები არიან. მამაკაცი დაკითხვაზე გადაიყვანეს, თუმცა არ დაუკავებიათ, რადგან საბოლოო ჯამში გოგონას მშობლებმა სარჩელი გამოიტანეს. თავად ბიჭის პოზიციაა, რომ ის მეზობელს ამ გზით გაეხუმრა.

ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის, 137-ე მუხლის 3 ნაწილის ბ ქვეპუნქტით დაიწყო, რაც გულისხმობს, გაუპატიურებას წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ. უწყების ინფორმაციით, აღნიშნული დანაშაული 10-დან 13 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

უზენაესმა სასამართლომ დეკანოზ მამალაძის საქმე წარმოებაში არ მიიღო



დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატის, გიორგი ფანცულაიას ინფორმაციით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დეკანოზის საქმე წარმოებაში არ მიიღო.

მისივე თქმით, დავა სტრასბურის სასამართლოში გაგრძელდება.

„უზენაესმა სასამართლომ 5-თვიანი ფიქრის შემდგომ გადაწყვიტა, წარმოებაში არ მიეღო ე.წ. ციანიდის საქმე, დეკანოზ გიორგი მამალაძის სისხლის სამართლის საქმე!

მოკლედ, იმ ხარისხის დამოუკიდებლობა და გამბედაობაც არ აღმოაჩნდა უზენაეს სასამართლოს, უბრალოდ წარმოებაში – განხილვაში მიეღო საქმე და ჩვენთვის მოესმინა...

ამ გადაწყვეტილებით დეკანოზ გიორგი მამალაძეს კი არა, საკუთარ თავს გამოუტანა განაჩენი ამ ე.წ. მართლმსაჯულებამ! რადგან დეკანოზი მამალაძე და მისი გუნდი გპირდებით, ქართული მართლმსაჯულება და მათი დამკვეთი პოლიტიკური და სასულიერო პირები მიღებენ ძალიან მწარე სილას სახეში სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილებით! ისეთ მკაცრს, როგორიც ქართულ მართლმსაჯულებას არასოდეს მიუღია!

ასევე გპირდებით, სტრასბურის სასამართლოს შემდგომ ჩავხედავთ თვალებში ყველა იმ პირს, ვინც კონფორმიზმის გამო ჩუმად ყოფნა ამჯობინა ამ 2 წლის განმავლობაში! გპირდებით, ბევრი შეეწირება, როგორც ერი, ასევე ბერი! თავიანთი რეგალიებითურთ, – წერს ადვოკატი სოციალურ ქსელში.

ლუკა კალანდია: „ვიცი, რა მოხდა, მაგრამ ჩემი ძმისგან თუ სხვა წყაროსგან, ამას ვერ ვიტყვი“

– ვიცი, რა მოხდა, მაგრამ ჩემი ძმისგან თუ სხვა წყაროსგან, ამას ვერ ვიტყვი, – ასე უპასუხა ჟურნალისტების კითხვას ხორავას ქუჩაზე მოზარდებს შორის მომხდარი კონფლიქტის ერთ-ერთი მონაწილის, მიხეილ კალანდიას ძმამ, ლუკა კალანდიამ.

კალანდიამ აღნიშნა, რომ მან პარლამენტის საგამოძიებო კომისიას დეტალური ინფორმაცია მიაწოდა. განმარტა ისიც, რომ 1-ელ დეკემბერს პირადად ხორავას ქუჩაზე არ ყოფილა და ძმას პეტრიაშვილის ქუჩაზე მიაკითხა.

ლუკა კალანდიას ბრალი დანაშაულის დაფარვაზე აქვს წაყენებული. ის გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს.

ქსნის №15 საპატიმროში პატიმარმა თავი მოიკლა

ქსნის №15 დაწესებულების მსჯავრდებული საავადმყოფოში გარდაიცვალა. 1978 წელს დაბადებული მსჯავრდებული ა.ც. მცხეთის სამედიცინო დაწესებულება „ჯეოჰოსპიტალში“ გარდაიცვალა.

– მსჯავრდებული ა.ც. №15 პენიტენციურ დაწესებულებაში იხდიდა სასჯელს. როგროც პატიმრები ყვებიან, მან ბანაობისას თვითდაზიანება მიიყენა.

მსჯავრდებულს პირველადი სამედიცინო დახმარება პენიტენციური დაწესებულების სამედიცინო პერსონალმა გაუწია, რის შემდეგაც, დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ დაუყონებლივ მოხდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება და მსჯავრდებულის გადაყვანა მცხეთის სამედიცინო დაწესებულება – „ჯეოჰოსპიტალში“. მომხდარის შესახებ გარდაცვლილის ოჯახი ინფორმირებულია.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას აწარმოებს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი. დაიკითხნენ მსჯავრდებულები, რომლებიც ფაქტს შეესწრნენ. მომხდარზე დაწყებულია გამოძიება სსკ-ის 115-ე მუხლის პირველი ნაწილით და დანიშნულია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, – აცხადებენ უწყებაში.

გიორგი სოზაშვილი — ჩემი მთავარი მოთხოვნაა, თუ რამე დავაშავე, მოვიპარე, დამიჭირონ ან თავი დამანებონ, დასრულდეს ეს იწილო-ბიწილო

– ჩემი მთავარი მოთხოვნაა, თუ რამე დავაშავე, მოვიპარე, დამიჭირონ ან თავი დამანებონ, დასრულდეს ეს იწილო-ბიწილო, – ამის შესახებ ჟურნალისტებს ბიზნესმენმა გიორგი სოზაშვილმა განუცხადა, რომელმაც პარლამენტის შენობის წინ მედიის მეშვეობით საგანგებო განცხადება გააკეთა.

როგორც სოზაშვილმა აღნიშნა, მისთვის უცნობია მასზე განხორციელებულ თავდასხმაში ვინ არის იდენტიფიცირებული. მისივე თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტრო აღნიშნულ ინფორმაციას ინციდენტის დღიდანვე ავრცელებდა, თუმცა შედეგი სახეზე არ დამდგარა. სოზაშვილის განცხადებით, მისთვის უცნობია ის, თუ კონკრეტულად ვინ დგას მის ირგვლივ განვითარებული მოვლენების უკან და რამე ტიპის შურისძიებას ან პირად კონფლიქტს გამორიცხავს. ბიზნესმენის მოსაზრებით, „ეს არის იერარქიულად პატარა კაცის წამოწყებული საქმე, რომელსაც სურს ზემდგომებს რამე დაუმტკიცოს.

სოზაშვილი ასევე გამოეხმაურა მის მიმართ გაჟღერებულ ბრალდებებს, რომ ის ელექტროენერგიას იპარავდა, რისი მეშვეობითაც ბიტკოინებს გამოიმუშავებდა. მისი თქმით, აქვს მტკიცებულებები, რომელიც საპირისპიროს ამტკიცებს და მზად არის საზოგადოებას წარუდგინოს.

მედიასთან საუბრისას ბიზნესმენი აქცენტს კვლავ სამართალდამცავთა მხრიდან უფლებამოსილების გადამეტებაზე აკეთებს.

– არ ვიცი, ვინ არის იდენტიფიცირებული, თუმცა ისინი იმ დღიდან ამას ამბობენ. მე ყველაფერი გადავეცი სამართალდამცავებს, ნივთმტკიცებები და ა.შ. აქ ვიქნები ყოველდღე... სამართალდამცველები მოტყუებით მოვიდნენ, მოტყუებით მომაწერინეს ხელი, ამის შემდეგ ცრუ ბრალდებებით გამოვიდნენ, თითქოს რაღაცას ვიპარავდი. ვფიქრობ, ეს არის პატარა ადამიანის პატივისცემა ვიღაცის მხრიდან, იერარქიულად პატარა ადამიანის. მე ყველას შემიძლია წარვუდგინო მტკიცებულებები, რომ ეს ადამიანები იტყუებიან. ჩემი მთავარი მოთხოვნაა, გაჩერდნენ, შემეშვან. თუ დავაშავე, მოვიპარე, დამიჭირონ ან შემეშვან, – განაცხადა გიორგი სოზაშვილმა.

გიორგი სოზაშვილი აღნიშნავს, რომ სანამ მსგავსი პროცესები მის ირგვლივ არ დასრულდება, ყოველდღე იქნება პარლამენტის შენობის წინ. აქვე განმარტავს, რომ მას აქცია დაანონსებული არ აქვს, თუმცა თუკი მას მოქალაქეები სოლიდარობის ნიშნად შეუერთდებიან, ამაში პრობლემას ვერ ხედავს.

ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე, ბიტკოინების დატა ცენტრში კრიმინალური პოლიცია შევიდა. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, გამოძიება „ენერგო-პრო ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე დაიწყო და ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე, ნივთმტკიცებად ამოიღეს მოქალაქე გ.ს.-ს მფლობელობაში არსებული ავტობუსი და მასში განთავსებული ე.წ. მაინერები, რომელთა საშუალებითაც, პირველადი ინფორმაციით, ელექტროენერგიის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლება ხდებოდა.

– შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს დეტექტივების განყოფილებამ სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაიწყო, რაც ქურდობას გულისხმობს და 3-დან 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, სამართალდამცველები კანონით გათვალისწინებულ ყველა შესაბამის ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებას ატარებენ. სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, მიმდინარე წლის 31 ივლისს თბილისში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე, ნივთმტკიცებად ამოიღეს მოქალაქე გ.ს.-ს მფლობელობაში არსებული ავტობუსი და მასში განთავსებული ე.წ. მაინერები, რომელთა საშუალებითაც, პირველადი ინფორმაციით, ელექტროენერგიის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლება ხდებოდა, – აცხადებენ შსს-ში.

თბილისში, ჯიქიას ქუჩაზე ახალგაზრდა მამაკაცი მოკლეს

თბილისში, ჯიქიას ქუჩაზე ახალგაზრდა მამაკაცი მოკლეს. 39 წლის მამაკაცის ცხედარი საცხოვრებელი სახლის ეზოში ახლობლებმა იპოვეს. ადგილზე ამ ეტაპზე ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობენ. მეზობლებს სროლის ხმა არ გაუგიათ და აქედან გამომდინარე ეჭვობენ, რომ მამაკაცს დაზიანებები ცივი იარაღით ან ბლაგვი საგნით აქვს მიყენებული.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

* * *

ჯიქიას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის შესახებ შსს განცხადებას ავრცელებს. განცხადებაში ნათქვამია, რომ გარდაცვალების ზუსტი მიზეზის დასადგენად დანიშნულია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა.

– მიმდინარე წლის 1 აგვისტოს თბილისში, პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე, ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის ეზოში აღმოჩენილ იქნა 1979 წელს დაბადებული დ.ჯ.-ს ცხედარი.

გამოძიების პირველადი ინფორმაციით, გარდაცვლილს თავის არეში დაზიანება აღენიშნება. დ.ჯ.-ს გარდაცვალების ზუსტი მიზეზის დასადგენად დანიშნულია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს“, – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

თბილისში, ჯიქიას ქუჩაზე ახალგაზრდა მამაკაცი მოკლეს. მამაკაცის ცხედარი საცხოვრებელი სახლის ეზოში ახლობლებმა იპოვეს. მეზობლებს სროლის ხმა არ გაუგიათ და აქედან გამომდინარე, ეჭვობენ, რომ მამაკაცს დაზიანებები ცივი იარაღით ან ბლაგვი საგნით აქვს მიყენებული.

ამირან გიგუაშვილი: „საკონსტიტუციო სასამართლომ თქვა, რომ თუ საჭირო გახდება, ისევ თვითონ აკრძალავს მარიხუანას მოხმარებას“

ადვოკატ ამირან გიგუაშვილის განმარტებით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შეფასებისას საზოგადოების დიდი ნაწილისთვის უცნობია გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც საკონსტიტუციო სასამართლო უშვებს შესაძლებლობას, საჭიროების შემთხვევაში მარიხუანას მოხმარება არა მხოლოდ აიკრძალოს, არამედ ეს სწორედ ისევ საკონსტიტუციო სასამართლოს მეშვეობით მოხდეს.

– ჩვენი საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება იმგვარად ხდება, რომ თითქოს საკონსტიტუციო სასამართლომ ერთხელ და სამუდამოდ მოახდინა მარიხუანას ლეგალიზაცია. ეს, რა თქმა უნდა, პირველ რიგში იმის ბრალია, რომ ჩვენი ექსპერტების და პოლიტიკოსების უდიდეს ნაწილს საერთოდ არ აქვთ წაკითხული ეს გადაწყვეტილება, ან წაიკითხეს და ვერ გაიგეს მისი შინაარსი. სინამდვილეში კი საკითხი გაცილებით საინტერესოა და ეს გადაწყვეტილება მხოლოდ გამოწვევაა ჩვენი საზოგადოებისთვის, – განაცხადა გიგუაშვილმა.

მისივე შეფასებით, საკონსტიტუციო სასამართლომ ძალიან განსხვავებული და საინტერესო გადაწყვეტილება მიიღო, რომელშიც არა მხოლოდ დაუშვა სახელმწიფოს მხრიდან მარიხუანას მოხმარების გარკვეული შეზღუდვები, არამედ იმის შესაძლებლობაც, რომ იმ შემთხვევაში თუ მარიხუანას ლეგალიზების შედეგად მოხდება საზოგადოებრივი ინტერესების არსებითი დარღვევა, თავად საკონსტიტუციო სასამართლომ გადახედოს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და მხარი დაუჭიროს ლეგალიზაციის აკრძალვას.

– საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ ის ემხრობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დინამიკური განვითარების პრაქტიკას, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი და იგივე საკითხები სხვადასხვა დროში და მოცემულობაში სხვადასხვანაირად შეიძლება გადაწყდეს. მარტივად რომ ვთქვათ, ამ ეტაპზე სახელმწიფომ ვერ დაამტკიცა, რომ მარიხუანას მოხმარება არსებითად აზიანებს საზოგადოებრივ ინტერესებს, რაც აღემატება პიროვნების ინდივიდუალურ უფლებას, მოიხმაროს მარიხუანა, მაგრამ თუ ამ გადაწყვეტილების შემდეგ ქვეყანაში სიტუაცია ისე შეიცვლება, რომ ლეგალიზაციის შედეგად აშკარა გახდება საზოგადოებრივი ინტერესების არსებითი შელახვა და განსაკუთრებით გაიზრდება ახალგაზრდა თაობის დამოკიდებულება ნარკოტიკებისადმი, სახელმწიფოს შეუძლია გაამკაცროს მიდგომა და ამას საკონსტიტუციო სასამართლოც დაუჭერს მხარს. ძალიან მოკლედ და მარტივად ეს თქვა საკონსტიტუციო სასამართლომ და კარგი იქნება, რომ პანიკაში ჩავარდნის ნაცვლად შევეცდებით ყველა ერთად ამ გამოწვევას ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციით და პროპორციული შეზღუდვებით ვუპასუხოთ, – აცხადებს ამირან გიგუაშვილი.

ევროკავშირმა სანქციები შემოიღო იმ რუსული კომპანიების მიმართ, რომლებმაც ქერჩის ხიდის მშენებლობაში მიიღეს მონაწილეობა

ქერჩის ხიდის მშენებლობა პუტინისათვის ღირსების საქმე იყო. რაკი ვლადიმერ ვლადიმიროვიჩმა პროექტ ნოვოროსიის განხორციელება ვერ შესძლო, მას თანამემამულეთათვის რაიმე ახალი ე.წ. გამარჯვება უნდა შეეთავაზებინა. ხიდი, რომელიც ანექსირებულ ყირიმს რუსეთთან დააკავშირებს, მართაც გრანდიოზული პროექტი გახლდათ. ამიტომაც მისი მშენებლობა 36 მილიარდი დოლარი დაჯდა.

რუსეთის პრეზიდენტი დარწმუნებული იყო, რომ პრეზიდენტ ტრამპთან შეხვედრა რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიას დააკანონებდა. აშშ-ის კონგრესის არჩევნები კარსაა მომდგარი. დემოკრატები ტრამპის მომხრე რესპუბლიკელებს ორი პუნქტით უსწრებენ. მათი რეიტინგი 42%-ია, რესპუბლიკელებისა – 40%. ასეთ სიტუაციაში ტრამპს საერთაშორისო ფრონტზე გამარჯვება ჰაერივით სჭირდება. კიმ ჩენ ინთან მიღწეული შეთანხმების შედეგად, ტრამპის რეიტინგმა აიწია. პუტინთან მსგავსი შეთანხმების დადება ტრამპს მორიგ დივიდენდებს მოუტანდა. პუტინი მზად იყო წასულიყო დათმობებზე სირიაში, თუ ტრამპი შეასუსტებდა რუსეთის მიმართ დაწესებულ სანქციებს, ყირიმის საკითხს გვერდზე გადადებდა, დონბასში კი მშვიდობის აღდგენის რუსულ სქემას მხარს დაუჭერდა. ასე არ მოხდა. მეტიც, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ე.წ. ყირიმის დეკლარაცია მიიღო. მასში ნათქვამია, რომ აშშ ყირიმის ანექსიას არასოდეს აღიარებს და მანამ, სანამ რუსეთი ყირიმს უკრაინას არ დაუბრუნებს, სანქციები არ შესუსტდება.

აშშ-ის ამ ნაბიჯის შემდეგ ევროკავშირმაც სათანადო რეაგირება მოახდინა. დაწესდა სანქციები იმ კომპანიების მიმართ, რომლებიც ყირიმის ხიდის მშენებლობაში მონაწილეობდნენ. მათ შორის: ПАО `Мостотрест~ и АО `ВАД „პაო მოსტოტრესტი“, „აო ვადი“, „აო ჰიდრომოსტსტროი“, სანკტ–პეტერბურგის გემშენებელი ქარხანა „ზალივი“ და ა.შ.

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა კლიმკინმა ევროკავშირს თანადგომისათვის მადლობა გადაუხადა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ზახაროვა კი აშკარად უკმაყოფილო იყო:

– ევროკავშირმა კონიუნქტურული გადაწყვეტილება მიიღო. ის არა მხოლოდ რუსეთის, არამედ ყირიმის ნახევარკუნძულის მოსახლეობის წინააღმდეგაა მიმართული, – თქვა ზახაროვამ.

ყირიმზე ჯერჯერობით რუსული დროშა ფრიალებს, თუმცა ნახევარკუნძულზე უმძიმესი მდგომარეობაა. არ არის წყალი. წყლის დეფიციტი დამსვენებლებსაც აფრთხობს. ყირიმშიც უკვე მერამდენე საკურორტო სეზონი ჩაიშალა.

– ეჭვი არ მეპარება, რომ ყირიმი, ისევე, როგორც დონბასი, უკრაინას აუცილებლად დაუბრუნდება, – აცხადებს უკრაინის უშიშროების სამსახურისა და სამხედრო დაზვერვის ექს-შეფი, გენერალი იგორ სმეშკო.

ამავე დროს გენერალი იმასაც აღნიშნავს, რომ ყირიმის დაბრუნებამდე გრძელი გზაა გასავლელი. დასავლეთის მხარდაჭერა უდავოდ ბევრს ნიშნავს, მაგრამ მარტოოდენ ეს საკმარისი არაა.

ტრამპის მორიგი ორიგინალური განცხადება

ვაშინგტონში ტრამპის საარჩევნო შტაბის ყოფილი მთავარი მენეჯერის პოლ მანაფორტის სასამართლო პროცესი დაიწყო. მას ბრალი ფინანსურ მაქინაციებში ედება. სპეციპროკურორი მიულერი ცდილობს დაამტკიცოს, რომ მალაფორტი და ტრამპის საარჩევნო შტაბი რუსებთან იყო დაკავშირებული და მოსკოვთან რაღაც საიდუმლო გარიგებებს აწყობდა.

– რუსეთთან საიდუმლო გარიგებები დანაშაული არ არის. ეს უბრალოდ არაეთიკური საქციელია. როგორც ჩანს, შტაბს ამგვარი კავშირები კრემლთან არ ჰქონია, – ამბობს ტრამპი.

პრეზიდენტის ამ მორიგმა ექსცენტრიულმა განცხადებამ ამერიკელები გააოცა. ტრამპის ოპონენტებმა უფრო ცხარედ დაიწყეს მტკიცება იმისა, რომ ტრამპის გამარჯვებას ხელი შეუწყო პუტინმა.

მაიკ პენსმა რუსეთი გააფრთხილა

აშშ-ის ვიცეპრეზიდენტმა მაიკ პენსმა 2016 წელს რუსეთის მიერ აშშ-ის არჩევნებში ჩარევა სასტიკად დაგმო.

– ეს ჩვენი ეროვნული შეურაცხყოფაა! – თქვა მან.

პენსმა მხარი დაუჭირა ამერიკული სპეცსამსახურების დასკვნას რუსების მიერ არჩევნებში ჩარევის შესახებ. როგორც ცნობილია, თავად ტრამპი ამას სკეპტიკურად მოეკიდა, თუმცა შემდგომში პოზიცია შეიცვალა.

– რუსეთს ვაფრთხილებ, რომ ამდაგვარი ფაქტები არასოდეს არ განმეორდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ისეთ ზომებს მივიღებთ, რაც რუსეთის ხელმძღვანელობას სამუდამოდ დაამახსოვრდება! – თქვა პენსმა.

„ედინაია როსიას“ რეიტინგი დაეცა

რუსეთის მმართველი პარტიის „ედინაია როსიას“ რეიტინგი მკვეთრად დაეცა. თუ წლის დასაწყისში ის 75%-ს აღწევდა, ახლა ის 34%-ია.

ექსპერტების აზრით, რეიტინგის ესოდენი კატასტროფული ვარდნა დონბასში გაჭიანურებულმა ომმა, სანქციებმა, აგრეთვე სოციალური მდგომარეობის მკვეთრმა გაუარესებამ გამოიწვია. საზოგადოების მოთმინების ფიალა კი საპენსიო რეფორმამ აავსო. შედეგად აღშფოთებული ხალხი ქუჩაში გამოვიდა. რუსეთის რიგ ქალაქებში საპროტესტო მანიფესტაციები გაიმართა.

ფსბ-ს თანამშრომლები კორუფციის გამო დააპატიმრეს

რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურში (ფსბ) კორუფციის ფაქტები გახშირდა. თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, კორუფციისათვის კიდევ ორი ოფიცერი ნიკიტიუკი და სტრუკოვი დააპატიმრეს.

აღსანიშნავია, რომ ფსბ-ს ორივე თანამშრომელი იმ განყოფილებაში მუშაობდა, რომელსაც კორუფციასთან ბრძოლა ევალება.

ვინ დახოცა რუსი ჟურნალისტები?

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში უცნობმა პირებმა რუსი ჟურნალისტები Орхан Джемаль, Александр Расторгуев и Кирилл Радченко ორჰან ჯემალი, ალექსანდრე რასტორგუევი და კირილ რადჩენკო მოკლეს. თანახმად არსებული ინფორმაციისა, მათ უცნობი შეიარაღებული პირები დაესხნენ თავს.

– რუსი ჟურნალისტები გაძარცვის მიზნით მოკლეს, – იტყობინება ბი-ბი-სი.

თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, რუსი ჟურნალისტები ფირმა „ვაგნერის“ შესახებ დოკუმენტურ ფილმს იღებდნენ. როგორც ცნობილია, ხსენებული ფირმა მსოფლიოს ცხელ წერტილებში აგზავნის დაქირავებულ მებრძოლებს. „ვაგნერის“ მებრძოლები იბრძოდნენ სირიაში, დონბასში და ა.შ. არსებობს ვერსია, რომ ჟურნალისტების მკვლელობა სწორედ ფირმა „ვაგნერის“ შესახებ ფილმის გადაღებასთანაა დაკავშირებული.

ერდოღანი ოფიციალური ვიზიტით გერმანიას ეწვევა

თურქეთის პრეზიდენტი რეჯებ ერდოღანი ოფიციალური ვიზიტით გერმანიას ეწვევა. ამის თაობაზე „დოიჩე ველე“ იტყობინება. ვიზიტის ზუსტი თარიღი ჯერ არ არის შეთანხმებული.

გერმანული საზოგადოება ერდოღანის მოსალოდნელი ვიზიტის მიმართ არაერთგვაროვნადაა განწყობილი. 70% ერდოღანს დიქტატორად თვლის და გერმანიაში მისი ჩასვლის წინააღმდეგია.

ასადის არმიამ გალანის სიმაღლეების მახლობლად არსებულ ტერიტორიაზე კონტროლი დაამყარა

სირიის დიქტატორის ასადის არმიამ სირია-ისრაელის საზღვართან უკანასკნელი სოფელიც დაიკავა. მანამდე მას ექსტრემისტული ორგანიზაცია „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო“ აკონტროლებდა.

ახლა ასადელები მთლიანად აკონტროლებენ გალანის სიმაღლეების მახლობლად სირია-ისრაელის საზღვართან არსებულ ტერიტორიას.

ოლეგ სენცოვთან მღვდელი არ შეუშვეს



უკანონო პატიმრობაში მყოფ უკრაინელ რეჟისორ ოლეგ სენცოვთან მღვდელი არ შეუშვეს. ზონის უფროსი პოლკოვნიკი ნოვიკოვი მღვდელს თავაზიანად შეხვდა, მაგრამ როგორც კი შეიტყო, რომ სენცოვთან მიდიოდა, გატარებაზე უარი უთხრა.

– ამაოდ ვცდილობდი მასზე გავლენა მომეხდინა. კანონის უზენაესობაც მოვიშველიე, ღვთის სამართალიც, მაგრამ ვერაფერს გავხდი, – ამბობს მამა გრიგორი.

ოლეგ სენცოვს რუსები ყირიმის ტერიტორიაზე ტერაქტების მოწყობაში ადანაშაულებენ. რუსულმა სასამართლომ რეჟისორს შეთითხნილი ბრალდებით ხანგრძლივი პატიმრობა მიუსაჯა. მსოფლიოს საზოგადოება სენცოვის გათავისუფლებას მოითხოვს, მაგრამ – ჯერჯერობით ამაოდ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ნახატს, სურათებს, წიგნებს, ძველ ნივთებს, მედლებს, ორდენებს. ტელ: 598-43-98-57.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიომცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

თბილისის ლოკომოტივი კერძო სექტორს დახმარებას სთხოვს

საქართველოს ჩემპიონი რაგბიში, თბილისის ლოკომოტივი ევროპის პროფესიული საკლუბო რაგბის მიერ ორგანიზებულ ტურნირში, „კონტინენტის ფარზე“ აპირებს მონაწილეობის მიღებას. თუმცა, დედაქალაქური კლუბი მძიმე ფინანსურ მდგომარეობაშია. ეს ეროვნულ ჩემპიონატს არ ეხება – „კონტინენტის ფარზე“ თამაში გარკვეულ ხარჯს მოიცავს, ლოკომოტივს კი ამ ტურნირზე მონაწილეობის ფინანსების მოძიება უჭირს.

სამწუხაროდ, საქართველოს რაგბის კავშირი მოკლებულია შესაძლებლობას, კერძო კლუბებს გაუწიოს დამატებითი ფინანსური დახმარება. სწორედ ამის გამო, შარშან ქვეყნის ჩემპიონმა გორის ჯიქმა ვერ შეძლო „კონტინენტის ფარზე“ თამაში და ის ფინალისტმა ბათუმმა ჩაანაცვლა, რომელმაც ტურნირში ჩართვისათვის საჭირო ფინანსები დამოუკიდებლად მოიძია.

შეგახსენებთ, „კონტინენტის ფარი“ მესამე დონის ტურნირია და პარალელურად წარმოადგენს მეორე დონის, „ჩელენჯ ქაფის“ შესარჩევ ტურნირს, რომლის საგზურს, სადაც ევროპის წამყვანი ქვეყნების (ინგლისი, საფრანგეთი, უელსი, ირლანდია, შოტლანდია, იტალია) კლუბები გამოდიან, 2 ფინალისტი იღებს. შარშან ბათუმმა ნახევარფინალი ითამაშა და ერთი ნაბიჯი დააკლდა სანუკვარ მიზნამდე.

კიდევ უფრო სამწუხაროდ, ქართული სპორტი ბიზნესის ყურადღებას მოკლებულია, სწორედ ამიტომ, ლოკომოტივის მთავარი მწვრთნელი თემურ ბედიანიშვილი კერძო სექტორს დახმარებისთვის მოუწოდებს.

თემურ ბედიანიშვილი:

– ბიზნესისა და საქმიანი წრეების ხელმძღვანელებს! დასრულდა საქართველოს 2018 წლის ჩემპიონატი რაგბიში. მთლიანობაში საინტერესო და დრამატული ტურნირი, რომლის ჩემპიონი გახდა საკლუბო გუნდი ლოკომოტივი. ამგვარად, ლოკომოტივი უკვე საქართველოს ათგზის ჩემპიონია, თავისთავად ეს ფაქტი უკვე მრავლისმთქმელია. მსგავსი ტიტულოვანი გუნდი რესპუბლიკას არ ჰყავს. თუმცა, მეათედ ჩემპიონის ტიტულის მოპოვება დროის საკმაოდ ხანგრძლივი ინტერვალის შემდეგ მოხდა. მიზეზი მრავალი იყო – თაობათა ცვლა და წლიდან წლამდე გუნდის ჩამოყალიბება, ცალკეული მორაგბეების მსოფლიო გუნდებში გაფანტვა, ისევ ხელახლა გუნდის შეკვრა, ძიება, შრომა, ბოლო ადგილი არ ეკავა უიღბლობასაც; ჩვენ ხშირად შეგვეძლო გავმხდარიყავით ჩემპიონები, მაგრამ ვერა და ვერ გაირღვა შეკრული წრე, რომლის დაძლევაც წელს მოხდა მხოლოდ, რამაც უდიდესი სიხარული განგვაცდევინა. ვფიქრობ, მთავარი მაინც ისაა, რომ გუნდი ამ გამარჯვებას შეხვდა ერთიანი შეკრული სპორტული შემართებით გამორჩეული სპორტსმენებით. მათგან უმეტესი შესანიშნავ პარტნიორობას გაუწევდა მსოფლიოს საუკეთესო სარაგბო კლუბების სპორტსმენებს. ეს სხვა თემაა და არ გავაგრძელებ, რადგან ჩემი მიზანია გამარჯვებული და საუკეთესო გუნდის სპორტული ცხოვრების ახლო პერსპექტივა.

2018-19 წლის სეზონზე, როგორც ქვეყნის გამარჯვებულები, მიწვეული ვართ ევროპის ჩემპიონატზე, სადაც ჩვენთან ერთად ითამაშებენ ესპანეთის, გერმანიის, იტალიის, საფრანგეთის, რუმინეთის, რუსეთის საკლუბო გუნდები. შარშან საქართველოდან ამ შეჯიბრში მონაწილეობდა ბათუმის გუნდი, რომელმაც ნახევარფინალამდე მიაღწია და დამარცხდა რუმინულ გუნდთან. ბათუმს შეეძლო გამარჯვება. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა, მაგრამ აქვე მინდა ვთქვა, რომ ბათუმის სარაგბო გუნდისთვის ევროპულ გასვლით თამაშებს უკვალოდ არ ჩაუვლია, საგრძნობლად ამაღლდა ბიჭების თამაშის კლასი, იმატა თვითდაჯერებულობამ. ამჯერად, ჩვენ გვეკუთვნის ხსენებულ ტურნირში მონაწილეობის მიღება. ბუნებრივია, გვექნება გასვლითი თამაშები, მაგრამ ჩვენი მეტოქეები, ევროპის საუკეთესო საკლუბო გუნდებიც გვესტუმრებიან, რაც ჩვენში ნამდვილ სპორტულ ზეიმს შექმნის. ცხადია, ჩვენდათავად გამარჯვების იმედი გვაქვს. პირველ ადგილზე გასვლის შემთხვევაში ლოკომოტივი მონაწილეობას მიიღებს „ჩელენჯ კაპის“ ტურნირში. ჩვენი თხოვნაა ბიზნესის წარმომადგენლებისადმი, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსადმი და ზოგადად, გულშემატკივრების მიმართ დაგვეხმაროთ ტურნირში მონაწილეობისათვის საჭირო მატერიალური სახსრებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი მონაწილეობა მაღალპროფესიულ ევროპულ ტურნირში ჩაშლის პირასაა. არადა, ტურნირზე ჩვენი გამოსვლით რაგბის სამყარო და გულშემატკივრები კიდევ ერთხელ თვალსაჩინოდ დაინახავდნენ, რომ საქართველო არა მხოლოდ ნაკრების დონეზე, არამედ საკლუბო გუნდებითაც პასუხობს მსოფლიო რაგბის მაღალ სტანდარტებს.

ლებრონ ჯეიმსმა ექსპერტებს კევინ გარნეტის ისტორია გაახსენა



ლებრონ ჯეიმსის კლივლენდ კავალიერსიდან ლოს ანჯელეს ლეიკერსში გადასვლამ კალათბურთის ექსპერტების ერთი საინტერესო ისტორია გაახსენა.

2006-07 წლების რეგულარული სეზონი ბოსტონ სელტიკსმა ბოლო ადგილზე დაასრულა. მათ 24 მოგება და 58 წაგება ჰქონდათ. ალბათ, ცოტა თუ იფიქრებდა, რომ ისინი მომდევნო სეზონში ჩემპიონები გახდებოდნენ. მივყვეთ მოვლენების განვითარებას...

2007 წლის 31 ივლისს, მინესოტა ტიმბერვულვზმა, 2004 წლის სეზონის საუკეთესო კალათბურთელი, კევინ გარნეტი, 5 კალათბურთელისა და ორი მომავალი დრაფტ პიკის სანაცვლოდ, სელტიკსს დაუთმო. ამ ტრანსფერამდე 3 დღით ადრე, ბოსტონელებმა სიეტლ სუპერსონიქსიდან რეი ალენი დაიმატეს. ამგვარად, გუნდში 3 სუპერვარსკვლავი მოგროვდა: კევინ გარნეტი, რეი ალენი და პოლ პირსი.

მომდევნო სეზონში, ამ ტრიოს თაოსნობით, კლუბმა 66 თამაში მოიგო და მხოლოდ 16 დათმო. ასევე, 1987 წლის შემდეგ, პირველად გავიდნენ ფინალში. პირველ რაუნდსა და კონფერენციის ნახევარფინალში მძიმე ბრძოლა გადაიტანეს. მათ ატლანტა ჰოუქსს და კლივლენდ კავალიერსს მეშვიდე თამაშში მოუგეს. კონფერენციის ფინალში კი, დეტროიტ პისტონსი მეექვსე შეხვედრაში დაამარცხეს.

გარნეტი კლუბის სული და გული იყო. ასევე – დაცვაში წამყვანი მოთამაშე. სწორედ მან მოიგო 2007-2008 წლების საუკეთესო მცველის ჯილდო. სელტიკსმა ფინალში ლოს ანჯელეს ლეიკერსი 4:2 დაამარცხა. თამაშის დასრულებიდან, რამდენიმე წუთში, გარნეტმა ყველასთვის ცნობილი ციტატა წარმოთქვა – ყველაფერი შესაძლებელია.

როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ლეგენდარული კალათბურთელისთვის, ეს პირველი და უკანასკნელი ჩემპიონობა იყო.

ოთარ კიტეიშვილი შტურმის მეხუთე ქართველია

საბოლოოდ გადაწყდა, რომ თბილისის დინამოს უკვე ყოფილი კაპიტანი ოთარ კიტეიშვილი გრაცის შტურმში გააგრძელებს კარიერას. როგორც ქართულ საფეხბურთო რეალობაში ხდება ხოლმე, დინამომ და შტურმმა სატრანსფერო ფასის გამხელა არ ისურვეს.

კიტეიშვილი გრაცელთა მეხუთე ქართველი ფეხბურთელია. შეგახსენებთ, რომ სხვადასხვა დროს შტურმში უთამაშიათ: დავით მუჯირს, გიორგი შაშიაშვილს, გიორგი ფოფხაძესა და ილია კანდელაკს.

ავსტრიულმა კლუბმა ქართველი ფეხბურთელი წარადგინა, რომელსაც კლუბის გენერალური მენეჯერი გიუნტერ კრაისლი და მწვრთნელი ჰაიკო ფოგელი ესწრებოდნენ.

გიუნტერ კრაისლი:

– ოთარს საოცარი პოტენციალი აქვს, განსაკუთრებით შემტევ ფეხბურთში. ის, რომ ასეთ ახალგაზრდულ ასაკში ასეთი ტრადიციული კლუბის კაპიტანია, როგორიც თბილისის დინამოა, ბევრს მეტყველებს მასზე. ის ტექნიკურია, ბევრ საგოლე პასს აკეთებს და გატანაც ეხერხება. ოთარის დინამიური თამაში და ფეხბურთის ცოდნა, მას ექსტრაორდინალურ ფეხბურთელად აქცევს. ქართველ ფეხბურთელებს შტურმში თამაშის წარმატებული ისტორია აქვთ, რაც ალბათ, დაგვეხმარა, რომ მან სხვა შემოთავაზებებზე წინ ჩვენი მიწვევა დააყენა.

ოთარ კიტეიშვილი:

– ძალიან ბედნიერი ვარ, რომ შტურმში ახალი გამოწვევა მივიღე. გუშინ ქალაქი დავათვალიერე და ძალიან მომეწონა, მაგრამ მთავარი ფეხბურთია. თამაშზე კონცენტრირებული ვარ და მინდა, რაც შეიძლება მალე დავეხმარო ჩემს ახალ გუნდს.

ჰაიკო ფოგელი:

– ოთარი ძალიან საინტერესო ფეხბურთელია, რომელიც ჩვენი გუნდის შუახაზს გააძლიერებს. მას უკვე გააჩნია ეროვნულ ნაკრებში თამაშის გამოცდილება. ამ დროს ჯერ 22 წლისაა და მომატება შეუძლია. ახლა ჩვენი მთავარი მიზანია, რაც შეიძლება მალე მოვახერხოთ, რომ ოთარმა წარმატებით გაიაროს ადაპტაცია შტურმში.

კიტეიშვილი ემოციურად გამოემშვიდობა თავის ყოფილ გუნდ დინამოს. გამოსამშვიდობებელი წერილი 22 წლის ნახევარმცველმა სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა.

– დინამოში 3.5 წელიწადი გავატარე და ეს არის კლუბი, რომელიც მუდამ ჩემს გულში იქნება. როგორც ფეხბურთელმა და როგორც პიროვნებამ, ამ კლუბში უდიდესი გამოცდილება მივიღე. ცხოვრებაში დგება მომენტი, როდესაც წინ ახალი ნაბიჯი უნდა გადადგა. ვთვლი, რომ ეს მომენტი ჩემთვის ახლა დადგა. დინამოში ყოფნის მანძილზე იყო იმედგაცრუებაც და იყო დიდი სიხარულიც და ტიტულები – ეს ყველაფერი მუდამ დარჩება ჩემს გულში. მინდა, მადლობა გადავუხადო გუნდის ხელმძღვანელობას, კლუბის პრეზიდენტის – რომან ფიფიას თამადობით, რომელსაც მუდამ ჰქონდა ჩემი იმედი. ასევე, ყველა იმ ფეხბურთელს, მწვრთნელსა და გუნდში მომუშავე პერსონალს, რომელთა დამსახურებაცაა ყოველი წარმატება. მათ გარეშე ეს შეუძლებელი იქნებოდა. მადლობა დინამოს გულშემატკივარს, რომელიც მუდამ ამხნევებს დინამოს და ყოველთვის ვგრძნობდი მათ მხარდაჭერას და სიყვარულს. ვამაყობ, რომ დინამოში ვთამაშობდი და ვიყავი ამ დიდი გუნდის კაპიტანი. მადლობა, დინამო.

18 წლამდე ნაკრები წაგებებს აგრძელებს

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონში ჯგუფის ბოლოსწინა მატჩი გამართა და ისევ დამარცხდა. ბუბა ბერიშვილისა და თემურ კანკიას გაწვრთნილი გუნდი ამჯერად სოლიდური უპირატესობით იგებდა, თუმცა ლიდერობა გაანიავა და შეხვედრა დათმო. პირველი პერიოდის შემდეგ ქართველები 19:11 ამარცხებდნენ ბელგიას, ხოლო დიდ შესვენებაზე 10-ქულიანი ლიდერობით გავიდნენ – 41:31.

მე-3 პერიოდში ყველაფერი თავდაყირა დადგა. მოედანზე დაბრუნებული გუნდები სულ სხვაგვარად ათამაშდნენ – ბელგია შედეგიანად, საქართველო კი უხეიროდ. ბელგიელებმა ქართველებს 10-წუთეული 36:5 მოუგეს და მატჩის ბედი გადაწყვიტეს. 10 ქულით ჩამორჩენილმა ბელგიელებმა 21-ქულიანი ლიდერობა მოიპოვეს და შეხვედრაც მშვიდად მიიყვანეს გამარჯვებამდე.

მატჩი ბელგიელთა სასარგებლოდ – 83:65 დასრულდა. მსგავსი რამ მხოლოდ საქართველოს ნაკრებს თუ დაემართება – გუნდმა 3 მეოთხედი მოიგო, მხოლოდ ერთი დათმო და თამაშიც 18 ქულით წააგო...

ბელგიელებთან არ უთამაშია რატი ანდრონიკაშვილს, ხოლო საუკეთესო შედეგი საბა გიგიბერიამ დააფიქსირა, რომელმაც 15 ქულა, 13 მოხსნა, 3 ჩაჭრა და 3 დაფარება მოაგროვა. 13 ქულა და 6 მოხსნა მიითვალა ლუკა მაზიაშვილმა, ხოლო ზურა ჟღენტმა და დავით კაკუშაძემ თავი 11-11 ქულას მოუყარეს. კაკუშაძემ 6 ქულა და 5 პასიც მიითვალა.

საქართველოს ნაკრები 4-დან 4 მარცხით მე-5 ადგილზეა და ამაზე მაღლა ვეღარ ავა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ნაკრები ჯგუფური ეტაპის შემდეგ ბრძოლას 17-24 ადგილებისთვის განაგრძობს. ბოლო ტურში, საქართველოს ნაკრები აზერბაიჯანს შეხვდება.

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ეროვნული ლიგა ერთთვიანი პაუზის შემდეგ განახლდება

ხუსთავი

მოვიდნენ: ელგუჯა ლობჯანიძე, გიორგი ხიდეშელი, თეიმურაზ ღონღაძე, რაფაელ ჩუკურა (ნიგერია), ირაკლი კლიმიაშვილი (იჯარით იყო მერანში), თორნიკე თარხნიშვილი, ომარ მიგინეიშვილი, ლუკა გადრანი, ცოტნე კაპანაძე, გიორგი ბუგულოვი

წავიდნენ:მამუკა კობახიძე, ლევან გეგეჭკორი, მათე ცინცაძე, თამაზ მაქაცარია, ავთო ენდელაძე, ბექა მიქელთაძე (იჯარით ანორთოსისში)

ჩიხურა

მოვიდნენ: მიშიკო სარდალიშვილი

წავიდნენ:პედრო გუგა (ბრაზილია)

დილა

მოვიდნენ:პა ომარ ბაბოუ (გამბია), თორნიკე გრიგალაშვილი, გაირა ჯოოფი (გამბია), გიორგი გადრანი, ერიკს სანტოსი (ბრაზილია), გოგიტა გოგუა, ლუკა გუგეშაშვილი

წავიდნენ: გიორგი ფანცულაია (იჯარით სამტრედიაში), ჯემალ გოგიაშვილი, ალექსანდრე კვახაძე, ალვინ ფორტესი

ტორპედო

მოვიდნენ: მამუკა კობახიძე, ოლექსანდრ აზაცკი (უკრაინა), ლევან გეგეჭკორი, ლაზარ მარინი (ბულგარეთი), მარეკ ჰლინკა (სლოვაკეთი), მათე ცინცაძე, არფანგ დაფე (სენეგალი), მიროშ ლაჩნი (სლოვაკეთი), გლეოფილო ჰასელბაინკი (სურინამი)

წავიდნენ: გიორგი გურული, თორნიკე გრიგალაშვილი, მიშიკო სარდალიშვილი, ბიძინა მახარობლიძე, ბექა ტუღუში, ჯაბა ლიპარტია, ევგენი ბოხაშვილი (უკრაინა), ლაშა კუჭუხიძე, ოლეგ მამასახლისი

ღოკომოტივი

მოვიდნენ: არავინ

წავიდნენ: თეიმურაზ ღონღაძე, გიორგი ხიდეშელი, რომან ჭანტურია, დაჩი ცნობილაძე, ლევან ყენია

საბუთალო

მოვიდნენ: ვლადიმერ დვალიშვილი, დავით თარგამაძე, დაჩი ცნობილაძე (იჯარით იყო ლოკომოტივში)

წავიდნენ: ვლადიმერ მამუჩაშვილი, ოთო გოშაძე (იჯარით ბათუმის დინამოში), თორნიკე თარხნიშვილი

სამტრედია

მოვიდნენ: გიორგი ფანცულაია (იჯარით დილადან), ჯემალ გოგიაშვილი, გიორგი გურული, ავთო ენდელაძე, დავით კუპატაძე, ჯაბა ლიპარტია, ოლეგ მამასახლისი, თამაზ მაქაცარია, დმიტრო ულიანოვი, სერგეი პოგორილი (ორივე უკრაინა), გიორგი ჯგერენაია, ბექა ტუღუში

წავიდნენ: გივი ქარქუზაშვილი, დავით კირკიტაძე, ლუკას ვეილი (ჰოლანდია)

სიონი

მოვიდნენ: გიორგი ჩოჩიშვილი, დავით კირკიტაძე, ბიძინა მახარობლიძე, სერგეი ტრეტიაკი (უკრაინა), ვილი ისიანი, ვასილ ბაჩიაშვილი

წავიდნენ: მიხეილ მუჯრიშვილი, გიორგი ჭეიშვილი, ლაშა ჯაფარიძე, ცოტნე სამუშია, გიორგი ბერიაშვილი, გიორგი გაფრინდაშვილი, ჯაბა დვალი

ტოლხეთი

მოვიდნენ: დენის კნიგა (რუსეთი)

წავიდნენ: ვლადიმერ პონომარიოვი (რუსეთი), სერგეი დანილოვი, ანდრეი პოლტავცევი, იაროსლავ კვასოვი (სამივე უკრაინა), ოთარ კვერნაძე, გიორგი კახელიშვილი, თორნიკე ჩუბითიძე.

სატურნირო ცხრილი:

1.საბურთალო	18	14	1	3	35-14	43
2.დინამო	18	12	2	4	38-17	38
3.დილა	18	9	7	2	36-24	34
4.ჩიხურა	18	9	4	5	28-16	31
5.ტორპედო	18	8	3	7	26-18	27
6.რუსთავი	18	5	6	7	18-23	21
7.ლოკომოტივი	18	5	4	9	20-30	19
8.სიონი	18	3	4	11	15-33	13
9.სამტრედია	18	1	6	11	11-28	9
10.კოლხეთი	18	3	5	10	19-43	8

შედეგები

31 ივლისი

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

ბეერ შევა-დინამო (ზ) 2:2

შერიფი-შკენდია 0:0

ტრნავა-ლეგია 0:1

უეფას ევროპის ლიგა

პიუნიკი-ტობოლი 1:0

ხუსეთი. პრემიერლიგა

კრილია-ცსკა 0:0

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

ქურდებმა აკვარიუმიდან ზვიგენი მოიპარეს

ამერიკის ტეხასის შტატის ქალაქ სან-ანტონიოში სამმა ქურდმა ქალაქის აკვარიუმიდან კალიფორნიული ხარისებრი ზვიგენი მოიპარა.

ქურდობაში ქალი და ორი მამაკაცი მონაწილეობდა. ერთ-ერთმა 45 სანტიმეტრის სიგრძის თევზი ღია აუზიდან ამოიყვანა და თანამზრახველების დახმარებით საზღვაო ადეალაში გაახვია. ამის შემდეგ ის დამხმარე ნაგებობაში გადაიყვანეს და სათლში ჩასვეს, რომელიც თავის მხრივ საბავშვო ეტლში მოათავსეს და ქუჩაში გააგორეს.

მომხდარის თაობაზე აკვარიუმის ერთ-ერთმა თანამშრომელმა დირექტორს აცნობა. დირექტორი გამტაცებლებს ავტოსადგომზე დაეწია და მათ მოპარული ზვიგენის დაბრუნება მოსთხოვა. მანქანის საჭესთან მჯდომმა მამაკაცმა მას განუცხადა, რომ მისი შვილი ავად იყო და მანქანაში შეხედვის საშუალება არ მისცა. ამის შემდეგ მანქანა ადგილიდან დაძრა და სწრაფად გაეცალა იქაურობას ისე, რომ თანამზრახველები ადგილზე დატოვა.

პოლიციაში მაშინვე ვერ დაიჯერეს, რომ ზვიგენი მართლაც მოიპარეს.

– როდესაც დაგვირეკეს, მომხდარის შესახებ გვითხრეს, გვეგონა, რომ გვამასხარავებდნენ, მით უმეტეს, რომ ამჟამად ტელევიზორში მიდის გადაცემა „ზვიგენების კვირა“, – განმარტა ლეონ-ბელის პოლიციის განყოფილების უფროსმა ჯოზეფ სალვაჯიომ.

სათვალთვალო კამერების ჩანაწერების შესწავლის შემდეგ, პოლიციაში დაასკვნეს, რომ ქურდებმა წინასწარ შეისწავლეს აკვარიუმი და, როგორც ჩანს, ისინი საგანგებოდ სწორედ ზვიგენის წასაყვანად მივიდნენ.

აკვარიუმის ერთ-ერთმა თანამშრომელმა იმ მანქანის ნომრის ჩაწერა მოასწრო, რომლითაც ზვიგენი გაიტაცეს. ავტომობილი იპოვეს, ორი დღის შემდეგ კი პოლიციაში განაცხადეს, რომ ორი ეჭვმიტანილი დააკავეს, ხოლო მათ მიერ მოპარული ზვიგენი აკვარიუმს დაუბრუნეს.

მთვრალმა მძღოლმა დაპატიმრების შიშით თავის მზარეულად გასაღება სცადა

ჩინეთის პროვინცია ხებეის ქალაქ ხანდანში არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა მანქანის მძღოლმა იმისთვის, რომ თავი დაპატიმრებისთვის აერიდებინა, თავი მზარეულად გაასაღა.

საგზაო პოლიციის ყურადღება მიიპყრო წითელი ფერის ავტომობილმა, რომელიც ალკოჰოლზე შესამოწმებლად არ შეჩერდა. მცირე დევნის შემდეგ ის რესტორნების ქუჩაზე გაჩერებული იპოვეს. მანქანის ძრავა მუშაობდა, თუმცა მძღოლი შიგნით არ იმყოფებოდა. სალონში იმყოფებოდა ქალი, თუმცა მისგან განმარტების მიღება პოლიციელებმა ვერ შეძლეს. ის ნებისმიერ კითხვას მხოლოდ უსიტყვოდ თავის ქნევით პასუხობდა.

გვიანი დროის გამო, თითქმის ყველა რესტორანი დაკეტილი იყო. პოლიციელებმა ერთადერთი ღია რესტორანი დაათვალიერეს და საეჭვო ვერაფერი შენიშნეს. როდესაც ისინი რესტორნიდან გასასვლელად შეტრიალდნენ, შვების ხმამაღალი ამოხვნეშის ხმა გაიგონეს. პოლიციელებმა მიიხედეს და სვირინგებიანი მამაკაცი შენიშნეს, რომელიც სამზარეულოში მეტად მოუხერხებლად ჭრიდა ხორცს. ამ დროს მას სახეზე პანიკა ეესახა.

– მე მზარეული ვარ და არა მძღოლი! – ამოიკნავლა მამაკაცმა.

შემოწმებამ დაადასტურა, რომ ის წითელი ავტომობილის მძღოლი იყო. მის სისხლში ალკოჰოლის შემცველობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა დასაშვებ ნორმას. გარდა ამისა გაირკვა, რომ მას არ ჰქონდა მართვის მოწმობა, ვინაიდან მას ის 2012 წელს მანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვისთვის ჩამოართვეს.

ექვსკიდურიან გოგონას ზედმეტ კიდურებს მოაჭრიან

ფილიპინების ქალაქ ილიგანის მცხოვრებ გოგონას ტყუპისცალ-პარაზიტს მოაცილებენ. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

14 წლის ვერონიკა კომინგესი ორი ზედმეტი კიდურით და მუცელსა და მკერდზე გრძელი წანაზარდით დაიბადა. მისი ტყუპისცალის თითებზე ფრჩხილები იზრდება, ხოლო წანაზარდიდან ზოგჯერ სისხლი და უსიამოვნო სუნის მქონე სითხე გადმოსდის.

ბავშვის დედა ამტკიცებს, რომ ფეხმძიმედ ყოფნის დროს ტყუპების დაბადებას ელოდებოდნენ და სახელები ორი გოგონასთვის ჰქონდა შერჩეული, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ ვერონიკა დაიბადა. აღმოჩნდა, რომ ემბრიონის განვითარების ადრეულ სტადიაზე ერთმა ნაყოფმა მეორე გადაყლაპა.

ადგილობრივებმა პარაზიტი ტყუპისცალის მოსაშორებელი ოპერაციისთვის ფულის შეგროვება მოახერხეს. სავარაუდოდ ვერონიკას რამდენიმე კვირაში ტაილანდში ჩაიყვანენ ოპერაციის გასაკეთებლად.

მოამზადა
კახა ხატიაშვილმა

სახელგანთქმული იტალიელი მაშველი ძაღლი მოკლეს

იტალიაში მოწამლეს გერმანული ნაგაზი სახელად კაოსი, რომელიც მიწისძვრით დაზარალებულთა გადარჩენის ოპერაციაში მონაწილეობდა.

კაოსის პატრონმა, მაშველმა ფაბიანო ეტორემ მოკლული ძაღლი ქალაქ სანტ-ეუზანიო-ფორკონეზეში მდებარე საკუთარი სახლის ეზოში ნახა.

– სიტყვები არ მყოფნის საკუთარი მდგომარეობის გადმოსაცემად, – განაცხადა ეტორემ, – არ მესმის, როგორ შეიძლება ასეთი საშინელების ჩადენა. ჯერ კიდევ ღამის ორ საათზე ის ცოცხალი იყო. მისი ყეფა მესმოდა.

იტალიელმა ცხოველთა დამცველებმა კაოსის მკვლელს „საშიში დამნაშავე“ უწოდეს და მოითხოვეს გამკაცრდეს სასჯელი ცხოველების მიმართ სასტიკი მოპყრობისა და მკვლელობისთვის.

– ჩვენ არ მოვისვენებთ, სანამ სამართლიანობას არ მივაღწევთ, – განაცხადა ცხოველთა დაცვის ორგანიზაციის წარმომადგენელმა რინალდო სიდოლიმ, – კაოსი ადამიანებს ეხმარებოდა და სწორედ ადამიანებმა მოკლეს ის.

პოლიციამ მომხდარის გამოძიება დაიწყო. ჯერჯერობით მკვლელის ვინაობა და მისი მოტივები უცნობია.

ამერიკელმა გოგონამ ადამიანისკბილებიანი პირანია დაიჭირა

აშშ-ის მცხოვრებმა გოგონამ თევზაობის დროს დაიჭირა პირანია, რომლის კბილები ადამიანის კბილებს წააგავდა.

ამერიკის ოკლაჰომას შტატის ქალაქ ლინდსეის მკვიდრი 11 წლის კენედი სმიტი სათევზაოდ ტბა ფორტ-კობზე ბებიასა და ბაბუასთან ერთად იმყოფებოდა. მის მიერ დაჭერილი თევზის წონა კილოგრამნახევარი აღმოჩნდა. მან გოგონას ბებიას უკბინა, თუმცა მან განაცხადა, რომ ტკივილი არ უგრძნია.

ბუნების დაცვის ადგილობრივ დეპარტამენტში განმარტეს, რომ გოგონას მიერ დაჭერილი თევზი რუხი პაკუა აღმოჩნდა, რომელიც პირანიისებრთა მტკნარი წყლების ბინადარ სახეობას წარმოადგენს. ისინი ძირითადად მცენარეებით იკვებებიან, თუმცა ყველაფრის მჭამელებად ითვლებიან და ამის გამო მათ მართლაც ადამიანის მსგავსი ყბები და კბილები აქვთ.

დეპარტამენტის თანამშრომლების ვარაუდით, თევზი ტბაში მისი პატრონების დაუდევრობის გამო მოხვდა, რომლებმაც უჩვეულო თევზი იყიდეს და შემდეგ, როდესაც ის საკმაოდ გაიზარდა და აკვარიუმში ვეღარ ეტეოდა, ტბაში გაუშვეს.

იმის გამო, რომ თევზი შესაძლოა ადგილობრივი ეკოსისტემისთვის ზიანის მომტანი გამხდარიყო, ის გაანადგურეს.

დაკარგული პილოტი მისი თვითმფრინავის კაბინაში იპოვეს

ბრიტანელმა ფოტოგრაფმა მეორე მსოფლიო ომის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგული თვითმფრინავის პილოტის ცხედარს მიაგნო.

ფოტოგრაფმა სტივ ჯონსმა წყალქვეშ ჩაყვინთვის დროს რამდენიმე სურათი გადაუღო წყალში ჩაძირულ მეორე მსოფლიო ომის დროინდელ ბომბდამშენის კორპუსს, რომელიც 1944 წელს ყოფილი იუგოსლავიის თავზე ჩამოაგდეს. საჰაერო ხომალდი 2016 წელს 70 მეტრის სიღრმეზე აღმოაჩინეს.

თვითმფრინავის საჭესთან 25 წლის ამერიკელი ერნესტ ვინო იჯდა. მას შემდეგ, რაც თვითმფრინავის ძრავი დაზიანდა, მან ის ხორვატიის სანაპიროსთან წყალზე დასვა, რის შედეგადაც ბომბდამშენის ეკიპაჟის გადარჩენა მოხერხდა. ვინოს ნათესავებს კი აცნობეს, რომ ის ზღვაში დაიკარგა.

ფოტოგრაფ ჯონსის წყალობით დადგინდა, რომ პილოტის სხეული კვლავაც თვითმფრინავის კაბინაში იმყოფება.

ასტროპროგნოზი

2 აგვისტოსთვის

ვერძი – დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება, თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ. ** კურო** – თუ გაწყენინეს, შურისძიებაზე არც იფიქროთ. კეთილშობილება და მიმტევებლობა საქმეს უფრო წაადგება. პროფესიულ საქმიანობაში ცვლილებებია მოსალოდნელი. **ტყუპები** – მიღებულ ინფორმაციას გადაუმოწმებლად არ ენდოთ. შემოქმედებითი პროფესიის ადამიანები ხელსაყრელ შემოთავაზებას მიიღებთ. **კირჩხიბი** – პარტნიორის შესაძლებლობები სათანადოდ შეაფასეთ. დღეს დაშვებული შეცდომის გამოსწორება იოლი არ იქნება. **ლომი** – ფინანსური მდგომარეობა არასტაბილურია. შესაძლოა, დაწყებული პროექტების შეჩერება მოგიხდეთ. **ქალწული** – რთული დღეა. აუცილებლად განმარტოვდით და დაისვენეთ, თან საკუთარ შეცდომებზე იფიქრეთ. **სასწორი** – ვარსკვლავების კეთილგანწყობა ენერგიით აღგავსებთ. ნებისმიერ რთულ სიტუაციას თავს დააღწევთ. **ღრიანკალი** – თქვენი კეთილდღეობისათვის ოჯახში არსებულ ემოციურ ფონს დიდი მნიშვნელობა აქვს. პირად ცხოვრებაში იღბლიანი პერიოდი გაქვთ. **მშვილდოსანი** – მოსალოდნელია საინტერესო ნაცნობობა, რომანტიკული პაემანი. თქვენი ძალისხმევა სასურველ ნაყოფს გამოიღებს. **თხის რქა** – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. პლანეტები გირჩევენ, არ გადაიღალოთ. პარტნიორთან უთანხმოება თანამშრომლობის მომავალ განვითარებაზე ნეგატიურად აისახება. **მერწყული** – საყიდლებზე წასვლა სხვა დროისათვის გადადეთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **თევზები** – შინაგანი არასტაბილურობა წარმატების მოპოვების შანსს დაგაკარგვინებთ. იმპულსურობა გავნებთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ბ



შვეულად: 1. საქართველოში გავრცელებული წითელი, ძვირფასმერქნიანი წიწვოვანი ხე; 2. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წერილობითი მიმართვა მოსახლეობისადმი; 3. სოფლის მეურნეობის შემსწავლელი მეცნიერება; 4. ტურისტთა კაპიუშონიანი ქურთუკი; 5. წალკის ძველი სახელწოდება; 10. სამშენებლო მასალების მწარმოებელი ქართული ფირმა; 11. თავადის უმაღლესი ტიტული ინდოეთში; 12. კომპიუტერული თამაშების მოყვარული ადამიანი; 13. ბერძნული ცეკვა; 16. ყველაზე წყალუხვი ტბა საქართველოში; 17. ტანსაცმლის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 19. ისტორიული ციხე-ქალაქი ტაოკლარჯეთში; 21. ელექტროავტომობილების მწარმოებელი ამერიკული კომპანია; 23. რაჭაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ჯიში.

თარაზულად: 6. ერთმანეთთან ახლოს მდებარე კუნძულთა ჯგუფი ოკეანეში; 7. ზღვისპირა კურორტი სამეგრელოში; 8. საკანონმდებლო ორგანოს ზედა პალატა აშშ-ში; 9. მაგნიტის ქართული სახელწოდება; 14. მოსამართლე ძველად საქართველოში; 15. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 18. მუსლიმთა მთვარის კალენდარი; 20. თენგიზ აბულაძის მხატვრული ფილმი; 22. ყვითელი ფერის ლითონი, სპილენძისა და თუთიის შენადნობი; 24. შაქრის წარმოების ნარჩენი სქელი შავი სითხე; 25. თათარაში ამოვლებული ნიგვზის ან თხილის ასხმულა; 26. ალბანეთის დედაქალაქი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ფინო; 2. როვნო; 3. აგუნა; 4. ვარნა; 5. ლეკალო; 6. ნადირაძე; 8. ინვესტიცია; 10. გენეალოგია; 11. ბალახვანი; 14. მორალი; 15. ღადარი; 16. კამიუ.

თარაზულად: 1. ფსირცხა; 4. ვალტორნა; 7. ნაძვი; 9. ტაიგა; 12. ტოშიბა; 13. წვიმა; 14. მაგატე; 17. მიქავა; 18. მეგალომანია; 19. კაოლინი; 20. შულერი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჩედვიკი; 2. საფირონი; 3. დიპლომატი; 4. ბროკერი; 5. მანერგეიმი; 10. ბედეგი; 11. ფარავანი; 12. ტანდემი; 13. გეიზერი; 16. მონტესუმა; 17. კიმიგაიო; 19. არქაიზმი; 21. სიამი; 23. ატილა.

თარაზულად: 6. დეგრადაცია; 7. კრიტიკა; 8. წიქარა; 9. კორონერი; 14. დეკალოგი; 15. დინოზავრი; 18. გენია; 20. ნიუტონი; 22. პიანინო; 24. სიესტა; 25. ჩუქურთმა; 26. ბელგია.

ია ტომაშს „იქს ფაქტორში“ ნაჩუქარი მოპედი დაულეწეს

მომღერალ ია ტომაშს „იქს ფაქტორში“ ნაჩუქარი მოპედი ჯერ მოპარეს, შემდეგ კი დაულეწეს. ბოლო დღეები მისთვის წარუმატებელი აღმოჩნდა, რადგან ქურდების სამიზნე არაერთხელ გახდა.

ია ტომაში:

– ჯერ იყო და სანაპიროზე საფულე და ოქროს ჯვარი გამტაცეს. ბევრი ერთნაირი შემთხვევის გამო ვიფიქრე საერთო ძარცვა-ათქო და უამრავი განცხადების მიუხედავად, ვერ იპოვა პოლიციამ.

ახლა მოპედიც მომპარეს, ცოტა ხანში კორპუსის უკან ვიპოვეთ დალეწილი..

ნუ გაგიხარდებათ, ნერვები არ მომშლია. მე კიდევ ათას მოპედს მოვიგებ და ათიათასს ვიყიდი.

უბრალოდ კითხვა მაქვს: რამ გაგაბოროტათ ასე?

10 ადგილი საქართველოში, რომელიც აუცილებლად უნდა ნახოთ

ფოტოხელოვანმა გოგა ჩანადირმა საქართველოს ულამაზესი ადგილებიდან ის საუკეთესო ათეული დაასახელა, რომელიც მოგზაურობის მოყვარულებმა აუცილებლად უნდა ნახონ:

საუკეთესო ადგილების ათეული ასე გამოიყურება:

1. თუშეთი;
2. აბულის ციხე;
3. ზემო სვანეთი;
4. ტობავარჩხილის ტბები;
5. ვარძია-ვანის ქვაბები;
6. შავი კლდეების ტბები;
7. ლაგოდეხი, შატილი-მუცო;
8. მწვანე ტბა-ბეშუმი;
9. გომისმთა-ჭინჭაოს ტბა;
10. ვაშლოვანი – ტახტითეფა-ქილაკუპრას ვულკანები.

გოგა ჩანადირი:

– აქედან, ყველაზე რთული შავი კლდეების ტბაა. სამდღიანი ლაშქრობაა. ქართლი დაიჩაგრა. თუმცა, დმანისის ნაქალაქარს დავამატებდი.

სამგლოვიარო განცხადებები

საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოების ჩოხოსნები: ფრიდონ ინჯია, ოთარ გოგიტიძე, გურამ შენგელია, ფერდინანდ ლორთქიფანიძე, თამაზ ჯალაღონია, ილია დოლიძე, რეზო სულავა, თემურ თავაძე, რომანოზ რეხვიაშვილი, თეიმურაზ ბერიშვილი და იაგო შიოლაშვილი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და თანაუგრძნობენ ოჯახსა და ახლობლებს სამაგალითო ჩოხოსნის, სამშობლოს ღირსეული შვილის

ოთარ ხარჩილავას

გარდაცვალების გამო.

უფალმა დაუმკვიდროს მარადიული სასუფეველი იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

დიდ გულისტკივილს გამოვთქვამ და თანავუგრძნობ ოჯახს პატიოსანი, მშრომელი ადამიანის

რამაზ საბაშვილის

გარდაცვალების გამო.

ლელა ჩახვაძე

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

რობერტ სტურუა 80 წლის გახდა



რეჟისორი რობერტ სტურუა 80 წლის გახდა.

– 80 წლის ვარ! რაც არი, არის! – ასე შეხვდა თავის იუბილეს რეჟისორი.

საიუბილეო თარიღის აღნიშვნა რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ჯერ კიდევ შარშან დაიწყო და სხვადასხვა აქტივობებით გადაწყვიტა 80 წლის შემობრძანებას მიგებებოდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, რობერტ სტურუას დაბადების დღე არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში მიულოცეს. მშობლიურმა რუსთაველის თეატრმა მისთვის საგანგებო მილოცვა დაწერა, საიუბილეო თარიღი მიულოცა მისმა უწმინდესობამ ილია მეორემ და სპეციალური მისალოცი გაუგზავნა.

თავად იუბილარი კი ასაკის მატებას მხნედ ხვდება და ისევ თავის საყვარელ თეატრზე ფიქრობს:

– ო, როგორ მძულს თეატრი... რა უაზრობაა, დგას ბრწყინვალე შენობა, ციხე-სიმაგრესავით ჩარაზული, და აქ ყოველ დილით თავს იყრიან მუზების მსახურნი – ნიჭიერები, უნიჭოები, ზოგი ამაყი და მედიდური, ზოგი დაჩაგრული და გაბოროტებული, შედიან დიდ ოთახში, სადაც ზაფხულში სიცხისაგან სული ეხუთებათ, სუნთქვა არ ყოფნით, ზამთარში კი, თბილ სამოსში გამოხვეულნი, კბილებს აკაწკაწებენ. ერთმანეთს ხელგაშლილნი ეგებებიან, თბილად მოიკითხავენ, მაგრამ შური და ბოღმა ახრჩობთ.

ამ დროს შემოდის აღრენილი კაცი ან ქალი, მკაცრად მოავლებს თვალს დამხვდურებს, ყველანი ფეხზე დგებიან, თვალებში შესციცინებენ, გულში კი ფიქრობენ: მოვიდა ტირანი... მერე დაჭმუჭნულ ფურცლებში იქექებიან, ეს მათი როლებია, სისხლის ფასად რომ მოიპოვეს. და იწყება ღვთაებრივი პროცესი: ტირანი ყვირის, ილანძღება, მსახიობები მორჩილად ასრულებენ იდიოტურ მითითებებს...

საღამოს დარბაზი მაყურებლებით ივსება (ყოველთვის კი არა), ისმის მუსიკის ჰანგები, ზოზინით იხსნება მტვრიანი ფარდა, მსახიობები მთვარეულებივით დაეხეტებიან სცენაზე, რაღაცას ლუღლუღებენ... აი, ეს გახლავთ ხელოვნების ტაძარი. და ამ დაწყევლილ შენობაში შემოდიან და ვეღარ გადიან... სცენის მუშაც კი ვერ თმობს აქაურობას.

როგორ გგონიათ, ამით მთავრდება ყველაფერი? არა, ბატონო, თუ თეატრმა გაცდუნა და შეგიტყუა, არაფერი გეშველება, დაღუპული ხარ.

გიყვართ თეატრი ისე, როგორც მე მიყვარს... მაშინ წადით იქ და მოკვდით! ეს რომ სხვას არ ეთქვა, მე ვიტყოდი.

დემნა გვასალია: „სტილს მუდმივად ვიცვლი“

აცხადებს დიზაინერი დემნა გვასალია, რომელიც ბოლო პერიოდში ჟურნალისტებისგან დიდად არის განებივრებული.

ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში ბალენსიაგას და ვეტმენტსის ხელმძღვანელმა მისი სტილის მუდმივ ცვალებადობაზე ისაუბრა და მკვეთრად განმარტა, შეიძლება თუ არა სტილის მუდმივმა ცვლამ ადამიანს ავთენტურობა წაართვას.

დემნა გვასალია:

– სტილის მუდმივი ცვლა ავთენტურობას გვართმევს? მე ასე არ ვფიქრობ. სტილს მუდმივად ვიცვლი. გუშინ გოთურად მეცვა, დღეს ვინტაჟი მაცვია. მჭირდება მქონდეს არჩევანის შესაძლებლობა, სხვა შემთხვევაში მწყინდება.

არც ისე დიდი ხნის წინ, პარიზის პოლიციამ გამაჩერა, ბრიუსელიდან პარიზში მეგობარ ბიჭთან ერთად ვბრუნდებოდი. სისთერ ოფ მერსის კონცერტზე ვიყავით და გიჟი მეტალჰედებივით გვეცვა. ერთი საათის განმავლობაში ორივეს გვჩხრეკდნენ, ნარკოტიკებისთვის და ტერორიზმისთვის. ჩვენი ჩაცმულობით ასეთ სიგნალს ვიძლეოდით.

მახსოვს ვეტმოს ადრეულ პერიოდი, როცა ჯერ კიდევ დავდიოდი წვეულებებზე, დაცვის უნიფორმა მეცვა. ჩავიცვამდი ჩექმებს, მაისურს დაცვის პრინტით, ბომბერს და რიგში არასდროს ვდგებოდი, არც ფულს ვიხდიდი, პირდაპირ შევდიოდი.

აქედან გამომდინარე, კითხვა შემდეგში მდგომარეობს, სტილის მუდმივი ცვლა ავთენტურობას გვართმევს? ჩემი აზრით, პირიქით არის. როგორც არ უნდა მეცვას, მე კვლავ მე ვარ, უბრალოდ, როლი მაქვს მორგებული. მაგალითად, რაც დღეს მე მაცვია, სუპერმარკეტის ფორმაა. ხალხი არ ელის, რომ მოდის დიზაინერს ასეთი რამ ეცმევა. როცა მონოპრიქსის მაისური მაცვია, რა სიგნალს ვიძლევი? ვამბობ, რომ მაგარია, როცა სუპერმარკეტში მუშაობ, თუ ხალხს ვაძლევ სალაპარაკოს, რატომ მაცვია მონოპრიქსის ზედა, როცა შემიძლია ბალენსიაგა მეცვას? ქუჩაში უცხოს შესაძლოა მონოპრიქსის მოლარე ვეგონო და მე მომწონს ორაზროვნება. რა თქმა უნდა, თქვენ მიხვდებით, რომ მე მონოპრიქსში არ ვმუშაობ, რადგან ბოტასი, რომელიც მაცვია, 800 ევრო ღირს, მაგრამ ვინმე მამაჩემისნაირისთვის, რომელსაც არ გაუგია ბალენსიაგა, ეს ხომ უბრალოდ სასაცილო ბოტასია. მამაჩემმა, რა თქმა უნდა, იცის რა არის ბალენსიაგა, მაგრამ ალბათ ხვდებით, რასაც ვგულისხმობ.

„გურჯი ხათუნი“ ბათუმში გათამაშდება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

პროექტის იდეა ქართულ თემაზე ახლებური მხატვრული ფორმითა და თანამედროვე ბალეტის ესთეტიკაში გააზრებული, მარიამ ალექსიძის თანამედროვე საბალეტო და საავტორო სპექტაკლების ციკლს აერთიანებდა.

სამი წლის შემდეგ, „გურჯი-ხათუნი“ მარიამ ალექსიძის მიერ აღდგენილ იქნა გიორგი ალექსიძის სახელობის „თბილისის თანამედროვე ბალეტის“ დასისთვის. გურჯი ხათუნის პარტიას სპექტაკლში ნათია ბუნტური იცეკვებს.

გურჯი-ხათუნი ისევე, როგორც მისი ბებია თამარ მეფე, ლეგენდებით არის შემოსილი. თანამედროვე საბალეტო ქორეოგრაფია მოცეკვავეთა ქოროსა და ოთხი ძირითადი პერსონაჟის გრძნობებით, განცდებით, მათი ურთიერთდამოკიდებულებითა და განწყობების ცვლით ორი კულტურისა და განსხვავებული სამყაროს შერწყმით სიყვარულითა და დრამატიზმით სავსე ისტორიას მოგვითხრობს.

თანამედროვე ბალეტით „გურჯი-ხათუნი“ გიორგი ალექსიძის სახელობის „თბილისის თანამედროვე ბალეტი“ მეორე სეზონს დახურავს.

მოამზადა

ეკა ირემაშვილმა

ვაგნერის „ნიბელუნგების ბეჭედი“ საქართველოში პირველად აჟღერდა

რიხარდ ვაგნერის „ნიბელუნგების ბეჭედი“ საქართველოში პირველად აჟღერდა.

ევროპის უძველესმა სამოყვარულო ორკესტრმა დაარსებიდან 140 წლის საიუბილეო თარიღი საქართველოში აღნიშნა.

ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, 100 ჰოლანდიელი სტუდენტისაგან შემდგარმა სველინკ ორკესტრმა გენიალური რიხარდ ვაგნერის ნაწარმოები „ნიბელუნგების ბეჭედი – სიტყვების გარეშე“ ღია ცის ქვეშ ვაკის პარკში ააჟღერა და ათასობით კლასიკური მუსიკის მოყვარული გაახარა.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

2 აგვისტოსთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4484

ევრო — 2.8717

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2214

100 რუსული რუბლი — 3.9226

ამინდის პროგნოზი 2 აგვისტოსთვის

„გურჯი ხათუნი“ ბათუმში გათამაშდება

4 აგვისტოს ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში წარმოდგენილი იქნება „გურჯი-ხათუნი“, მარიამ ალექსიძის საავტორო, რიტუალური, მისტიკური და ფილოსოფიური თანამედროვე ქართული ბალეტი, სიყვარულის თემის ირგვლივ.

„გურჯი-ხათუნი“ დათო ტურაშვილის რომანის მიხედვით, იოსებ ბარდანაშვილის მუსიკაზე, ანა კალატოზიშვილის მხატვრული გაფორმებით 4 წლის წინ დაიდგა. სპექტაკლი გიორგი ალექსიძის სახელობის თანამედროვე ქორეოგრაფიის განვითარების ფონდის პროექტის „ფანტაზია ქართული ფოლკლორის თემაზე“ ფარგლებში განხორციელდა.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

გიორგი მიქაძე ბლექ სი არენაზე უნიკალურ პროექტს წარადგენს

ქართველი პიანისტი, „იამაჰას“ არტისტი, გიორგი მიქაძე 4 აგვისტოს ბლექ სი არენაზე უნიკალურ პროექტს „ვოისას“ წარადგენს.

ეს არის მუსიკალური პროექტი ქართული ფოლკლორის და სხვადასხვა მუსიკალური ჟანრის საინტერესო სინთეზით. ეს არის პროექტი, რომლითაც მსოფლიომ საქართველო გაიცნო.

გიორგი მიქაძე მსმენლის წინაშე ოლ-სტარ ბენდთან და ანსამბლ „ბასიანთან“ ერთად წარდგება და რადიკალურად განსხვავებულ მუსიკალურ საღამოს შესთავაზებს ბლექ სი არენაზე შეკრებილ მსმენელს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ელისაბედ II როლს-როის ფანტომი აუქციონზე გაიყიდება



1953 წლის გამოშვების Rolls-Royce Phantom IV State Landaulette, რომელიც დიდი ბრიტანეთის სამეფო ოჯახს ეკუთვნის, აუქციონზე გაიყიდება.

აღსანიშნავია, რომ დედოფალი ელისაბედ II და მისი მეუღლე პრინცი ფილიპი პირადად იყენებდნენ ამ ავტომობილს მთელ მსოფლიოში მოგზაურობის დროს.

Rolls-Royce Phantom IV State Landaulette-ი ფანტომის შეზღუდული რაოდენობის 18 მანქანიდან ერთ-ერთია, რომელსაც სამეფო სახლი 40 წელზე მეტი ხნის მანძილზე იყენებდა.

ავტომობილი საგანგებოდ იყო აღჭურვილი უფრო მაღალი სავარძლებით, ავარიული ლურჯი სინათლით და ელექტროშუშის ამწევებით.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

მამა შვილს ეუბნება:

– შვილო, თუ კარგად ისწავლი კომპიუტერს გიყიდით.

– და თუ ცუდად ვისწავლი?

– პიანინოს.

●●●

ახალი რუსი რემბრანდტის ნახატს ყიდულობს და გამყიდველს ეკითხება:

– იმის გარანტია არის, რომ რემბრანდტი ყალბი არ არის?

– არის, სამი წელი.

●●●

შვილი მამას ეკითხება:

– მამიკო, ოპერა რა არის?

– შვილო, ოპერა არის სპექტაკლი, რომელიც საღამოს შვიდ საათზე იწყება და სამი საათის შემდეგ საათს რომ დახედავ, ისრები 19:20 საათს აჩვენებს.

●●●

ლოთი ექიმს ეკითხება:

– ექიმო, გულწრფელად მითხარით, თიაქარი მართლა ალკოჰოლისგან მაქვს?

– არა, ცარიელ ბოთლებს რომ ეზიდებოდით ჩასაბარებლად, იმისგან დაგემართათ.

●●●

ქალი კაცს ეუბნება:

– საყვარელო, არ გინდა, რომ ამაღამ შენთან დავრჩე?

– გვიანია, ლიფტი უკვე გამოვიძახე.

●●●

გოგონა მამას ეუბნება:

– მამიკო, მე დიდი თოჯინა მინდა!

– მეც, მაგრამ დედა უარზეა...

●●●

ებრაელს ეკითხებიან:

– რატომ მიდიხართ ჩვენი ქვეყნიდან? რა არ გაკმაყოფილებთ?

– ჰომოსექსუალების მიმართ თქვენი დამოკიდებულება მაკმაყოფილებს!

– კი მაგრამ, რა პრობლემაა, ამ მხრივ ხომ ყველაფერი მოგვარებულია?

– მომისმინეთ. სტალინის დროს ამისთვის ხვრეტდნენ, ბრეჟნევის დროს – იძულებით მკურნალობდნენ. ახლა კი ეს ნორმად იქცა. ამ ქვეყნიდან წასვლა კი მანამდე მსურს, სანამ სავალდებულო გამხდარა!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით

ეროვნული ლიგა ერთთვიანი პაუზის შემდეგ განახლდება

3 აგვისტოს ეროვნულ ლიგა განახლდება. ერთთვიანი პაუზის შემდეგ გუნდები ჩემპიონატის მეორე ნაწილს გაივლიან. ანტრაქტის შემდეგ გუნდების დიდი ნაწილი გადახალისებული შემადგენლობებით ითამაშებს. სატრანსფერო პერიოდი 26 ივნისს გაიხსნა და ბევრი ცვლილება მოხდა.

ვნახოთ კლუბებში მომხდარი ცვლილებები.

დინამო თბილისი

მოვიდნენ: მათე ვაწაძე, სტეფან სიკაჩი (მოლდოვა)

წავიდნენ: ნიკა ძალამიძე, ოთო გოშაძე, ოთარ კიტეიშვილი

გაგრძელება მე-9 გვერდზე

ბასკონიამ შენგელიას მაღალანაზღაურებადი კონტრაქტი გაუფორმა



თორნიკე შენგელია ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი კალათბურთელი გახდება. ჯერჯერობით, კონტრაქტის ფინანსურ დეტალები არ ხმაურდება, მაგრამ უკვე გადაწყვეტილი ფაქტია, რომ ბასკონია და თორნიკე შენგელია ახალ, მეგა-კონტრაქტზე შეთანხმდნენ. ეს ნიშნავს, რომ ქართველი კალათბურთელი ესპანეთში რჩება და ნბა-ში აღარ მიდის.

ახალი კონტრაქტით შენგელია 2022 წლის ზაფხულამდე დარჩება ბასკონიაში. მოქმედ ხელშეკრულებას ვადა 2020 წელს გასდის და 2 წლით გახანგრძლივდება.

გავრცელებული ხმებით, შენგელია ევროლიგის კლუბებში ერთ-ერთ ყველაზე დიდშემოსავლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს, რომელიც ბასკონიას ისტორიაში რეკორდული იქნება.

შეგახსენებთ, რომ ამერიკიდან დაბრუნებული შენგელია ბასკონიაში 2014 წელს გადავიდა. ის ახლა გუნდის კაპიტანი და ნამდვილი ლიდერია. გასულ სეზონში ის ევროლიგისა და აცბ ლიგის სეზონის სასტარტო ხუთეულში დაასახელეს. 26 წლის კალათბურთელი ევროლიგაში საშუალოდ 13.7 ქულას, 6.6 მოხსნასა და 2.2 პასს აკეთებდა.

გეტყვით, რომ შენგელია ფინიქს სანს სურს, რომელსაც საქართველოს ნაკრების ყოფილი თავკაცი იგორ კოკოშკოვი წვრთნის. მისით ასევე დაინტერესებულნი არიან ევროგრანდები – ოლიმპიაკოსი და მოსკოვის ცსკა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოხვოხდი ↄ



შვეულად: 1. სამონასტრო კომპლექსი ნინოწმინდის რაიონში; 2. კუს ტბის ძველი სახელწოდება; 3. თბილისის მმართველი IX-XII საუკუნეებში; 4. მდინარის მონაკვეთი ორ მეზობელ კაშხალს შორის; 5. კორიდის მთავარი მონაწილე; 6. გულიანი კანფეტი; 8. ქუჩების, შენობათა ფასადების ფერადდეკორაციული განათება; 10. ატლანტიკის ოკეანისა და ხმელთაშუა ზღვის დამაკავშირებელი სრუტე; 11. პატარა სურათი, ლიტერატურული ან მუსიკალური ნაწარმოები; 14. ტყვია-თუთიის საბადო სამაჩაბლოში; 15. მაროკოს დედაქალაქი; 16. უალკოჰოლო, გამაგრილებელი სასმელი.

თარაზულად: 1. ორგანიზმის ან მისი რომელიმე ორგანოს სპეციფიკური მოქმედება, დანიშნულება; 4. მცენარეთა შემსწავლელი მეცნიერება; 7. რადიაქტივობის საზომი ერთეული; 9. ძილის მომგვრელი საშუალება; 12. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო; 13. წყალსა და წებოში განზავებული სახატავი საღებავი; 14. ფოტოაპარატების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 17. გოეთეს ტრაგედია; 18. ვინმეზე დამოკიდებულებისგან გათავისუფლება, უფლებრივი გათანასწორება; 19. უფროსი მწყემსი; 20. პოპულარული საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა